ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ოთხშაბათს და შაბათს | №5 (1635) | 21–23 იანვარი 1998 წ. | ფასი 50 თეთრი

# ორი რეჟიმის დროს აკრძალული წერილი

6 8

## მიხეილ სააკაშვილი: საქართველოს განთავისუფლება სიცრუით ცხოვრებაზე უარის თქმაშია



მეშვიდე გვერდი

## დოკუმენტური პიესა

## კონკურენცია ქართულად ანუ რამდენიმე სურათი და ეპიზოდი ყაჩაღების ცხოვრებიდამ

3

## მხედრიონის პროცესი

1. გიორგაძის ინტერვიუები
2. შეამოწმეთ სიცრუის დეტექტორზე
3. ყოფილი და ნამდვილი ერთად ქეიფობდნენ
4. რისთვის მოკლეს გულუა?
5. ვინ მოკლა გია ქანთურია?

მეორე გვერდი

# რას წერენ საქართველოს მტრები საქართველოზე?

10 10

# მხედრიონის პროცესი



## გიორგაძის ინტერვიუები

გუშინდელ სასამართლო სხდომაზე შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, თემურ ხაჩიშვილმა, რომელსაც ბრალი ედება 1995 წლის 29 აგვისტოს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში, მოსამართლეს მოსთხოვა, რომ ძიებაში მყოფი უშიშროების ყოფილი შეფის, იგორ გიორგაძის ყველა ინტერვიუ საქმის მასალებს დაერთოს.

ხაჩიშვილის თქმით, „იგორ გიორგაძის ყველა ინტერვიუ, თავისებურად, ჩვენებებს წარმოადგენს“.

მოსამართლე ჯემალ ლეონიძემ აღნიშნა, რომ შუამდგომლობა უსაფუძვლოა, რადგან ხაჩიშვილმა არ დააკონკრეტა, საქმის მასალებს გიორგაძის კერძოდ რომელი ინტერვიუ უნდა დაერთოს. (გეა)

## შეამოწმეთ სიცრუის დეტექტორზე

ხაჩიშვილმა ისევ მოითხოვა გენერალური პროკურორის, ჯამლეტ ბაბილაშვილის და უშიშროების ყოფილი მინისტრის, შოთა კვირაიას და, აგრეთვე, ედუარდ შევარდნაძის სიცრუის დეტექტორზე შემოწმება. „მაგრამ დეტექტორი უბრალო კი არ უნდა იყოს, არამედ აშშ-ის სპეცსამსახურს უნდა ეკუთვნოდეს“ – განაცხადა ხაჩიშვილმა.

ყოფილი და ნამდვილი ერთად ქეიფობდნენ?

ძიების პერიოდში მე-5 იზოლატორში მყოფ შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს, თემურ ხაჩიშვილს არაერთხელ ეწვივნენ საქართველოს მაღალი თანამდებობის პირები. ხაჩიშვილმა ამის შესახებ განაცხადა გუშინდელ სასამართლო პროცესზე.

მისი ინფორმაციის თანახმად, „იგი არაერთხელ იყო აყვანილი იზოლატორიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ზედა სართულებზე, სადაც მას უქეიფია კიდევაც“. როდესაც ხაჩიშვილი ზედა სართულებზე იმყოფებოდა, მას შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელი სპეცდანიშნულების რაზმი იცავდა.

ერთ-ერთი ამგვარი ვიზიტის დროს, ხაჩიშვილის მონაყოლის თანახმად, მასთან ჯამლეტ ბაბილაშვილი და შოთა კვირაია მივიდნენ, რომლებმაც გამოუცხადეს, რომ მისი უდანაშაულობის შესახებ იციან, მაგრამ თხოვეს ხაჩიშვილს, მიეცა მათთვის აუცილებელი ჩვენებები ასლან აბაშიძის, ქართლოს ღარიბაშვილის და როინ ლიპარტელიანის წინააღმდეგ (რომლებიც იმ დროს პრეზიდენტის თანამდებობაზე იყრიდნენ კენჭს).

გარდა ამისა, გენერალური პროკურორი და უშიშროების მინისტრი ხაჩიშვილისგან ითხოვდნენ, რომ მას იგორ გიორგაძის აგენტების სია ემხილა. ხაჩიშვილის თქმით, „იმ პერიოდში აგენტები უკვე არ არსებობდნენ“.

ხაჩიშვილი დარწმუნებულია: „არც აბაშიძე, არც ღარიბაშვილი ჩემს ნათქვამს ასე არ დატოვებენ და რაღაცას მომიწყობენ“.

## რისთვის მოკლეს გულუა?

შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს, თემურ ხაჩიშვილს ბრალი ედება სატრანსპორტო პოლიციის უფროსის, გია გულუას მკვლელობაში. გუშინდელ სასამართლო სხდომაზე ხაჩიშვილმა ამის თაობაზე გაოცება გამოთქვა.

„გულუას მოკვლა ჩემთვის რა საჭირო იქნებოდა, როდესაც იგი პირადად ჩემი დანიშნული იყო?“ –განაცხადა ხაჩიშვილმა.

საქმის მასალებიდან გამომდინარეობს, რომ გულუა „მხედრიონს“ და უშიშროების სამსახურს სატრანსპორტო გადაზიდვებში უშლიდა ხელს.

„გულუა უშიშროების სამსახურს ხელს არ უშლიდა, რადგანაც უშიშროებას თავისი სატრანსპორტო განყოფილება ჰქონდა“ – ხაზი გაუსვა ხაჩიშვილმა.

მისი თქმით, „გულუა მოკლეს მათ, ვისაც უშიშროების სამსახურსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის ტანდემის დამყარების ეშინოდათ“.

ხაჩიშვილმა თავდაცვის მინისტრზე, გია ყარყარაშვილზე და მის მოადგილეზე, პაატა დათუაშვილზე მომხდარი თავდასხმის ორგანიზაციაში მონაწილეობა კატეგორიულად უარყო.

1994 წლის სექტემბერში თვითმფრინავში, რომელშიც ყარყარაშვილი იმყოფებოდა, ბომბი იყო აღმოჩენილი. „პირადად ჩემს მიერ იყო აღმოჩენილი ბომბი მარჯანიშვილის თეატრში, სადაც ედუარდ შევარდნაძე უნდა მისულიყო, მაგრამ შოთა კვირაიამ ეს ფაქტი, რატომღაც, დამალა“ – განაცხადა ხაჩიშვილმა. (გეა)

## ვინ მოკლა გია ჭანტურია?

„საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, გია ჭანტურია ედუარდ შევარდნაძის ბრძანებით იყო მოკლული“ – განაცხადა სასამართლო სხდომაზე შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, თემურ ხაჩიშვილმა, რომელსაც გია ჭანტურიას მკვლელობაში ედება ბრალი.

თავისი სიტყვების დასტურად ხაჩიშვილმა რუსულ ენაზე დაწერილი წერილი წაიკითხა: „ეს შევარდნაძის ბრძანებითაა გაკეთებული“. ხაჩიშვილმა არ დააკონკრეტა, ვინ არის წერილის ავტორი.

გარდა ამისა, ხაჩიშვილმა აღნიშნა, რომ „ჭანტურიას მკვლელობამდე ერთი დღით ადრე შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრის, შოთა კვირაიას ბრძანებით შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელი ტექნიკა საბრძოლო მდგომარეობაში იყო მოყვანილი და პირად შემადგენლობაში ყაზარმული მდგომარეობა იყო გამოცხადებული. (გეა)

# კიტოვანსაც თუ გაუშვებენ?!



პარლამენტარ ელენე თევდორაძის განცხადებით, იგი დარწმუნებულია, რომ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში დაცული იქნება თენგიზ კიტოვანის უსაფრთხოება, რომელსაც გუშინ კოლონიიდან გადმოიყვანდნენ.

თევდორაძის თქმით, იგია გარანტი კიტოვანის უსაფრთხოებისა. თუ ციხის საავადმყოფო ვერ შეძლებს მისი ჯანმრთელობის სრულ დაცვას, თევდორაძე საკითხს დააყენებს სპეციალიზებულ საავადმყოფოში, ბადრაგის ქვეშ თენგიზ კიტოვანის გადაყვანის თაობაზე.

პარლამენტარის განცხადებით, იგი ოცნებობს საქართველოში პატიმრებისთვის შეიქმნას ისეთი პირობები, როგორიც თუნდაც ისრაელშია, საიდანაც ახლახანს დაბრუნდა ელენე თევდორაძე. მისი განცხადებით, იქ კანონის მიხედვით თანამდებობის პირებისთვის არსებობს ცალკე ციხე, საიდანაც თვეში 2-3-ჯერ სახლში უშვებენ პატიმრებს, თუ იგი ციხის წესებს არ არღვევს. (გეა)

# თვალსაზრისი

# მედლის მეორე მხარე

### ამ წერილის ავტორი ის კაცია, რომელსაც თავის დროზე ლენინის ძეგლის აფეთქება უნდოდა

რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის 1783 წელს დადებული ე.წ. „გეორგიევსკის ტრაქტატის“ რუსეთის მიერ იგნორირებამ, საქართველოს აბუჩად აგდებამ, საბოლოოდ კი „მეგობრად“ მოსულის მიერ საქართველოს ანექსიამ მოტყუებული ქართველის ცნობიერებაში ღრმა და ტკივილიანი კვალი დატოვა. მაშინ არც არავინ გამოგვესარჩლებია და არც შემდგომში გახსენებია ვინმეს ეს ფაქტი. მსოფლიოს თუ დაავიწყდა, ქართველ კაცს არ დავიწყებია რუსეთის მიერ ჩადენილი სიმუხთლე. იმპერიის კლანჭებში მოქცეული საქართველო ვერ პოულობდა შესაძლებლობას სათანადო დატვირთვის მქონე პასუხი გაეცა და რუსეთისა და მსოფლიოსათვის შეეხსენებია იმპერიის მიერ ჩადენილი უსამართლობის ფაქტი. მაგრამ დადგა ისეთი მომენტიც, როდესაც ასეთი შესაძლებლობა გაჩნდა...

კრემლის მითითებით 60-70-იანი წლების საბჭოთა კავშირში მიმდინარეობდა მორიგი პოლიტიკურად მიზანმიმართული კამპანია-ფარსი-რუსეთის იმპერიის ხალხები ზეიმით აღნიშნავდნენ თავიანთი ტერიტორიების რუსეთთან „ნებაყოფლობით“ შეერთების საიუბილეო თარიღებს (ზარ-ზეიმით ხორციელდებოდა ამგვარი თარიღების აღნიშვნა უკრაინაში, იაკუტიაში, სომხეთში...).

საქართველოშიც დაიწყო ანალოგიური ღონისძიების ჩატარებისათვის მზადება. მაშინდელმა საქართველოს კპ ცკ-ის პირველმა მდივანმა ე.შევარდნაძემ ამ ღონისძიებისათვის მიძღვნილ სპეციალურ მოხსენებაში 1976 წელს აღნიშნა, რომ საქართველოს 1983 წელს უნდა ეზეიმა საქართველოს რუსეთთან შეერთების 200 წლისთავი, რომელიც მოიცავდა 1783-1983 წლების პერიოდს. ვინაიდან საქართველოში ყველასათვის ცალსახად იყო ცნობილი, რომ რუსეთმა ქართლ-კახეთი 1801 წელს შეიერთა და შესაბამისად „საიუბილეო“ თარიღიც 2001 წელზე მოდიოდა, გასაგები რეაქცია და საყოველთაო გაკვირვება გამოიწვია ე.შევარდნაძის მიერ ერთი შეხედვით ასეთი უზუსტობის დაშვებამ. * ბევრმა ეს ფაქტი ე.შევარდნაძის კრემლისადმი მორიგი მლიქვნელობის გამოვლინებად კი მიიჩნია, მაგრამ ამასთან ძალიან ძნელი დასაჯერებელი ხდებოდა, რომ ისეთი დონის სახელმწიფო მოღვაწეს (თანაც სპეციალობით ისტორიკოს), როგორიც შევარდნაძე იყო, ასეთი უხეში შეცდომა დაეშვა, კრემლისათვის იმ დონეზე „გაეგორებია“, რომ საჯაროდ გაეყალბებია ქართველებისათვის მეტად მტკივნეული „ასპროცენტიანი“ ისტორიული თარიღები. მაშინდელ პრესაშიც ატყდა აურზაური აღნიშნული ფორმულირების გამო. გამოჩნდნენ ისეთი „ისტორიკოსებიც“, რომლებმაც სერიოზულად დაიწყეს ამ „უზუსტობის“ გამართლებისათვის „არგუმენტების“ ძებნა, რათა საქართველოს ხელმძღვანელი „აშკარა გაბითურებისაგან ეხსნათ“.

იმ პერიოდში, ინფორმაციის ნაკლებობისა და ემოციებით დამუხტულ ატმოსფეროში, საქმეში ჩაუხედავი კაცისათვის ძნელი გასარკვევი იყო რა ხდებოდა მოვლენის ობიექტურად პოლიტიკური გააზრების თვალსაზრისით. ამიტომაც გასაკვირი არ იყო მაშინ ატეხილი ემოციური აურზაური. მაგრამ თუ გულისყურით გავაანალიზებთ მომხდარს, სხვა კუთხით შევხედავთ მიმდინარე პროცესებს არ შეიძლება არ დავინახოთ ამ „ზეიმობაში“ მნიშვნელოვანი მომენტი. ამ მოვლენის შეფასებისას ყურადღებას იქცევს ერთი გარემოებაც, 1976-1983 წლების ქართულ ცენტრალურ პრესის ანალიზისას, შეიმჩნევა ერთი შეხედვით უმნიშვნელო კანონზომიერება: 1976 წელს პრესაში ხმარებული ტერმინი „რუსეთთან შეერთება“ განიცდის ტრანსფორმაციას, იგი თანდათან იცვლება და საბოლოოდ 1983 წლისათვის იძენს იმ შინაარსს, რომ რესპუბლიკას უნდა ეზეიმა არა საქართველოს რუსეთთან შეერთების თარიღი, არამედ უნდა აღნიშნულიყო რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების – ე.წ. „გეორგიევსკის ტრაქტატის“ დადებიდან 200 წლის იუბილე. ე.ი. ფაქტობრივად საქართველო აღნიშნავდა კრემლის დირექტივის საწინააღმდეგოდ, არა საქართველოს რუსეთთან შეერთების, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის, ქართველების მიერ სახელმწიფოებრიობის დაკარგვის საიუბილეო თარიღს, არამედ აღნიშნავდა ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს – საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების საიუბილეო თარიღს.

დიპლომატიას თავისი რთული, სპეციფიკური ენა აქვს. ე.შევარდნაძემ ამ ენაზე კრემლის დირექტივას იმდროინდელ პოლიტიკურ სიტუაციაში არსებული შესაძლებლობის შესაბამისი, ძალიან ღრმად გააზრებული დაშიფრული პოლიტიკური სვლით უპასუხა, რომ ბედის უკუღმართობით სხვის სახელმწიფოში მოქცეული, რუსეთის საბჭოთა იმპერიაში შემავალი საქართველო მიუხედავად დღევანდელი გამოუვალი მდგომარეობისა, მაინც შეახსენებს რუსეთს (რამდენადაც მიუღებელი არ უნდა ყოფილიყო ცენტრისათვის ეს ფაქტი) „გეორგიევსკის ტრაქტატს“. ამავე დროს, ამით ცივილიზებულ მსოფლიოსაც კიდევ ერთხელ შეახსენა დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულების არსებობა და ქართველი ხალხის დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ დაუვიწყებელი სწრაფვა. მაშასადამე, საქართველო საბჭოთა იმპერიის პირობებშიც ცნობდა მხოლოდ „გეორგიევსკის ტრაქტატის“ საფუძველზე აგებულ ურთიერთობებს რუსეთთან, რომელიც, სხვათაშორის, იმპერიის ხელისუფლებას არასოდეს არ შეუსრულებია და არც უცდია მისი შესრულება. (იმ ეტაპზე, ყველაზე რადიკალურად განწყობილი პატრიოტიც კი არ იტყოდა უარს რუსეთთან „ტრაქტატულ“ ურთიერთობებზე, იმდენად უპერსპექტივო ჩანდა მაშინ იმპერიის დანგრევა ახლო მომავალში). იქნებ ეს მომენტიც იყო იმის ერთ-ერთი საფუძველი, რომ იმპერიის „გარდაქმნის“ არქიტექტორობა რუსეთის პირველმა პირმა თვით ე.შევარდნაძეს ჩააბარა. ფაქტია, რომ ე.შევარდნაძემ, პოლიტიკა შესაძლებლობის გამოყენების ხელოვნება არისო და როგორც დიდ პოლიტიკოს შეეფერება (ამის მაგალითია მისი შემდგომი მოღვაწეობაც), არ გაუშვა ხელიდან შესაძლებლობა, ისარგებლა მომენტით და კრემლის მითითება ქვეყნის ინტერესების დასაცავად გამოიყენა, დაანახა მსოფლიოს პოლიტიკურ საზოგადოებას, რომ საქართველო არავის არ უნდა ჩაეთვალა პოლიტიკურად ჩამოწერილ ქვეყნად. ე.შევარდნაძემ პოლიტიკური ქულებიც აართვა რუსეთს, კრემლის დავალების ეფექტურად შესრულების ილუზიაც შექმნა და ამასთან, თავიდანაც აიცილა ანექსიის ფაქტის სამარცხვინოდ საზეიმო აღნიშვნა, როგორც მაგალითად, ეს 1901 წელს მოხდა საქართველოში.

მოკლედ იმ მომენტში, იმ სიტუაციაში, იმ ძნელად დასავიწყებელ პოლიტიკურ ატმოსფეროში, რომელშიც საქართველო იმყოფებოდა და რომლის პოლიტიკურად გაცნობიერება ეტყობა დღეს ბევრს უჭირს ანავიწყდება, მაქსიმალურად იქნა გამოყენებული შესაძლებლობა და გადაიდგა საკმაოდ გაბედული და თამამი, ფართო აუდიტორიისათვის ძნელად წასაკითხი, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით საქართველოსათვის მომგებიანი დიპლომატიური ნაბიჯი.

ჩვენის აზრით, ეს იყო ქართული პოლიტიკური აზროვნებისა და დიპლომატიის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი, ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის განმავლობაში არ გვქონებია დამოუკიდებელი სახელმწიფო (თუ არ ჩავთვლით საუკუნის დასაწყისში 2 წლისა და ათი თვის დამოუკიდებლობას, რომელიც ასევე ხელშეკრულების უხეში დარღვევით მუხანათურად მოსპო რუსეთმა), შესაბამისად დაკარგული გვქონდა საკუთარი პოლიტიკის კეთებისა და დიპლომატიური საქმიანობის გამოცდილება, გამოჩნდა, რომ ქართული პოლიტიკური და დიპლომატიური ნიჭი კვლავ ფხიზლობდა და მომავლის იმედს არ აქრობდა.

დღეს საქართველოში იმდენად ძლიერად არის ემოციურად და ამბიციურად დატვირთული პოლიტიკური ატმოსფერო, თანაც „გეორგიევსკის ტრაქტატის“ 200 წლისთავის აღნიშვნის ფაქტის შესახებ იმდენად სუბიექტური და მკვეთრად უარყოფითი სტერეოტიპია ჩამოყალიბებული, რომ ბევრს უდაო არგუმენტების გათვალისწინებაც კი არ სურს. აქედან გამომდინარე, შეიძლება აღნიშნული მოვლენის ჩემეული პოლიტიკური შეფასება, ჩვენში ამ ეტაპზე ჯერჯერობით ყველასათვის გასაზიარებელი არ აღმოჩნდეს.

** 1976 წელს ე.შევარდნაძის მოხსენებით გამოწვეული უარყოფითი მუხტი იმდენად ძლიერი იყო, რომ პატრიოტულმა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ძმები კახა და გია ცხოვრებაძეები, ამ წერილის ავტორი და სხვ. მაშინვე გადაწყვიტა იუბილე აღგვენიშნა 1983 წელს ლენინის მოედანზე ლენინის ძეგლის აფეთქებით. მაგრამ ადგილის შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ ჩვენ ძალებს აღემატებოდა ამ აქტის განხორციელება, და მომზადებულებმა ჩანაფიქრი ველარ განვახორციელეთ.*

ჰენრი კუპრაშვილი

# კონკურენცია ქართულად ანუ რამდენიმე სურათი და ეპიზოდი ყაჩაღების ცხოვრებიდან

ნოდარ გრიგალაშვილი

## პიესა 2 მოქმედებად

### მოქმედი პირნი:

ქართლოს დარიბაშვილი – ფირმა „ელიზის“ ადვოკატი, მეტსახელად „ესენგოსა“.

თამაზ ელიზბარაშვილი – ფირმა „ელიზის“ პრეზიდენტი.

გელა ბატატუნაშვილი – „ელიზის“ პრეზიდენტის მამიდაშვილი, პატიმარი.

სხვა პატიმრები – „ელიზის“ პრეზიდენტის ნათესავები, თანამშრომლები.

ფირმა „ომეგას“ თანამშრომლები.

გამომძიებელი.

შალვა რჩეულიშვილი – ფირმა „ომეგას“ ადვოკატი.

ჟურნალისტები,

მოსამართლე,

დეპუტატები,

დარაჯები და სხვა მოქალაქენი.

### მოქმედება პირველი

#### ეპიზოდი I

*შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო იზოლატორი. რკინის მაგიდასთან სხედან გამომძიებელი და პატიმარი.*

გამომძიებელი. (მკაცრად) შენგან ფორმალური აღიარება მჭირდება. საქმის დეტალები ჩვენთვის უკვე ცნობილია.

პატიმარი. რა აღიარება, რა ფორმა, აქ რისთვის მომიყვანეთ, მე თქვენ უპატრონო ხომ არ გგონივართ.

გამომძიებელი. შე გლახის ჭირო. სასიკვდილოდ გადადე თავი და მილიონიდან 1000 დოლარზე მეტი არ შეგხვდა?

პატიმარი. თქვენ წუხელ გლახა სიზმარი ხომ არ გინახავთ?

გამომძიებელი. კი, სწორედ სიზმარი ვნახე. „ელიზის“ პრეზიდენტი და კიდევ 4 შენი თანამზრახველი გამომეცხადა და მითხრეს: გუშინ „ომეგას“ ხალხი დავაყაჩაღეთ, მილიონზე მეტი წავართვით, 1000 დოლარი კი იმ გლახასაც ჩავუჩხრიალეთო.

მერე მე სიზმარში შენი ბინა გავჩხრიკე, იქიდან 1000 დოლარი წამოვიღე და ახლა შენს მეგობრებს, გვერდით საკნებში რომ მყავს ჩაყუდებული, პატიოსანი ჩვენებისთვის ხაშზე უნდა გავეგზავნო.

პატიმარი. (თავისთვის: ეტყობა, დავიღუპე. ყველანი დაუჭერიათ) მიგიხვდით, ბატონო გამომძიებელო, თანახმა ვარ, ოღონდ ამ უბედურებას გადამარჩინე და დანარჩენი თქვენი იყოს, იქ ხომ 1000 კი არა, 100000 დოლარი იყო ჩემი წილი.

გამომძიებელი. აშენდა შენი ოჯახი. მომიწერე ახლა ამ ჩვენებას ხელი.

პატიმარი. მღუპავ, ბატონო?

გამომძიებელი. შე შეჩვენებულო, აპა, თავი დაიღუპო?

პატიმარი. რატომ უნდა დაიღუპოთ თავი, ბატონო, ის ჩემი წილი, ჩემი 100000 სულ შენი ფეშქაში იყოს. რაც ადრე მიშრომია, იმასაც ზედ დავამატებ. მიშველე, შენი ჭირიმე, მიხსენი, შენი ოჯახის გახარებამ.

გამომძიებელი. ეგ რომელი დანაზოგია, ადრე ქარელთან რომ წაართვით „ომეგას“ ხალხს, ის ფულია, არა?

პატიმარი. ყველაფერი უთქვამთ იმ ოჯახდაქცეულებს, ყველაფერი...

გამომძიებელი. შენ ჭკვიანი კაცი ხარ. პოლიციაში ნამუშევარი. როგორ გირჩევნია, ჯანმრთელი ხელით მოაწერ ხელს ჩვენებას თუ მოტეხილით...

პატიმარი. (იგინება ვიღაცის მისამართით) ოხ, იმის დედა. (ხელს აწერს), მიშველე რამე, უფროსო. მიშველე (თავს დებს რკინის მაგიდაზე და ხელებით იჭყლეტს საფეთქლებს).

გამომძიებელი. იღებს ფურცლებს, გამოიხურავს რკინის კარს. მაღლა აღაპყრობს ხელებს და გოდებს:

ახლა მივიღებ მადლობას,
მაგრამ რა თავში ვიხალო,
რისთვის მინდა თუნდ ორდენი დავითის,
შინ ცოლ-შვილი ჩაუცმელი დამიდის.
ღმერთო, რა იქნებოდა,
არ შეეტყოთ ზემოთა,
ან მინისტრი არ მყოლოდა ახალი...
კარგად მოვაგვარებდი,
მე ამ საქმეს ქვემოდან,
ახლა ასი ათასო,
მშვიდობით და ნახვამდის.
რაღა ახლა მოუნდათ,
სამართალმა უნდა ჭამოს პურიო,
მე დავიჭერ, სხვა გაუშვებს,
სხვას დარჩება ფულიო...
აი, მაშინ ორდენოსანს.
გამისკდება გულიო...

#### ეპიზოდი II

*სახლი მიყრუებულ ადგილას.*

*ელიზბარაშვილი ნერვიულად სცემს ბოლთას ოთახში, ბატატუნაშვილი სკამზე ზის და ჩაციებით მიშტერებია სივრცეს.*

ელიზბარაშვილი. ჩემმა ხალხმა შიგნიდან ყველაფერი მაცნობა. ჩემი სახელი არავის დასცდენია. შენი მადლობელი ვარ. ყველამ მხოლოდ ის იცის, რომ შენ ხარ ორგანიზატორი. მე თუ დამიჭირეს, დავიღუპებით. ერთადერთს შენ შეგიძლია ყველას ხსნა.

ბატატუნაშვილი. მე? მე როგორ!

ელიზბარაშვილი. უნდა ჩაბარდე. შენს თავზე აიღო ყველაფერი. მე თუ უბრალოდ დავრჩი, გარედან დაგიხსნი. ხომ იცი, პარლამენტის რამდენიმე ძალიან გავლენიანი დეპუტატი ჩემია. პრეზიდენტის აპარატში დიდი კაცი მყავს. პრესა ჩემია. ფული დიდი მაქვს, ვინ დამიდგება წინ? გამოგიყვან და მთელი ცხოვრება თითი არ გექნება გასანძრევი, იმდენი დაგხვდება.

ბატატუნაშვილი. (დგება და უსიტყვოდ გადაეხვევიან ერთმანეთს) წავალ. ჩემი სული ახლა შენს ხელშია, ჩემი სული, გესმის თამაზ! (გადის მწუხარე სახით.)

#### ეპიზოდი III

*გამომძიებლის ოთახი. სავარძელში ზის პოლიციის გამომძიებელი.*

*ორ ჩაფარს შემოჰყავს პატიმარი ბატატუნაშვილი.*

გამომძიებელი. (ხელით ანიშნებს, დაჯდეს. თავის მოძრაობით ჩაფრებს გარეთ გასვლას უბრძანებს).

აბა, რას მეტყვი, ჩემო „რაინდო“, რისთვის ითხოვე შეხვედრა ჩემთან.

ბატატუნაშვილი. მნიშვნელოვანი რამ მინდა გითხრათ, ბატონო ჩემო,
მე ხომ ციხეში გამოვცხადდი ჩემივე ნებით
და ყოველივე მოგიყევი ვითომ წრფელ გულით.

გამომძიებელი. რაო, იქნება ჩვენებების აპირებ შეცვლას,
აბა რას ნიშნავს ეგ სიტყვები: „ვითომ წრფელ გულით“,
წადი, გამშორდი, არ გაგივა ჩემთან თამაში,
წა, კვლავ მოთავსდი გისოსების ცივ აკლდამაში,
ჰმ, რას მიქვიან, მომიყევი ვითომ წრფელ გულით,
მე ჭკუა, ძმაო, საძოვარზე არ მყავს დაბმული...

ბატატუნაშვილი. მე მართალია თავმან ჩემმან მარგო ეს ბედი,
არც თქვენ ხართ მღვდელი და არც მე მაქვს იმის იმედი,
რომ აღსარებას გეტყვით თუ არ, კარს გამიღებენ
და გავფრინდები გალიიდან სამოთხის ჩიტი,
სიცარიელეს მე გულში ვგრძნობ და არა თავში,
თქვენ რა, გგონიათ, მიამიტი ვარ ისე ბავშვი,
რომ მილიონი მოვიპოვე სიცოცხლის ფასად
და უცებ თქვენთან გამოვცხადდი სინდისის ქენჯნით?
ამნაირ სულელს თქვენ გგონიათ სადმე იპოვით?
არც მთლად ბატი ვარ და არც კიდევ რასკოლნიკოვი...

გამომძიებელი. შენ დღეს მე რაღაც უცნაურად მეშაირები
სთქვი, რა გწადიან, რა დახლართე, რაღა აბურდე,
უარყოფ განა, რომ ყაჩაღებს უძღოდი წინა,
რომ მზიან დილით თქვენ აწვიმეთ ტყვიების წვიმა,
რომ ამჩნევია იმ მონაკვეთს აეროპორტის
ავტომატების კანონადით შემოხაზული
ფული ან სული
უმოკლესი თქვენი რაპორტი...

ბატატუნაშვილი. რა დიდებულად ბრძანეთ ახლა, ბატონო ჩემო,
აეროპორტის გზა ახსენეთ, ნუთუ არაფერს
არ გეუბნებათ ის გზა, სადაც დოლარს მილიონს
გამოვკარ ხელი და გგონიათ ამ ბნელ დარაბებს
არ მოვსდგომოდი, არსით მქონდა სხვა წასასვლელი?
სწორედ იქიდან, სადაც ფული მოვიგდე ხელში,
ყოველ წუთს ფრინავს შორით შორად მფრინავი თეფში,
ამდენი ფულით გამიხსნიდა ევროპა კარსა
და სულ „მუსიეს“ მიძახებდნენ ყოფილ ჩაფარსა...

გამომძიებელი. (აღფრთოვანებული. გაფართოებული თვალებით მიჰყვება მის ოცნებას. გამოერკვევა და უცებ მოიქუფრება,
შენ მარტო გულის სიცარიელეს არ უნდა უჩიოდე,
თავიც არ უნდა გისკდებოდეს სიმძიმით.
აბა, რა ოხრობამ მოგიყვანა ამ „სამოთხეში“?

ბატატუნაშვილი. ჰოდა, ძაღლის თავიც მაგ კითხვაშია დამარხული.
ახლა თავიდან მოგიყვებით სულ, სულ ყველაფერს, რათა
კანონმა არ მაზღვევინოს იმაზე მეტი, რაც მიქნია და ჩამიდენია
თავიდან ვიწყებ, მოთმინებით აღივსეთ, ვითხოვ.

გამომძიებელი. ილაპარაკე!

*აქ ბატატუნაშვილი იწყებს თხრობას, მაგრამ ავტორი ვინაიდან მხოლოდ საუბრის არსს იცნობს და თვით საუბარს არ შესწრებია, იძულებულია მხატვრული ხერხებით აღიჭურვოს და დოკუმენტური ამბავი ისე გადმოსცეს. და როგორც ფინალიდან გაირკვევა, რაკი ქურდობა ხანდახან მოსაწონი ამბავიც კია, ავტორმა მკითხველს რომ თავი მოაწონოს, უნდა გაქურდოს კაკო ყაჩაღის ავტორი. ერთი სიტყვით, ბატატუნაშვილმა დაიწყო ასე:*

ყური მომიგდე, გეტყვი ყველაფერს,
რაც გადამკიდა მწუხარებამა
და როგორც ერთ დროს ბედის მადლიერს,
გზა დამიხლართა ბედისწერამა!
პატიოსანი კაცი ვიყავი,

გაგრძელება მეოთხე გვერდზე

# კონკურენცია ქართულად ანუ

## რამდენიმე სურათი და ეპიზოდი ყაჩაღების ცხოვრებიდან

მესამე გვერდიდან

როცა თამაზმა სახლს მომაშორა,
წამსვე „ელიზში“ მე მიკრეს თავი
ჩემს სახლ-კარიდან გამაგდეს შორა.
ჯერ კი დაველონდი, დაჩაგრდა გული,
კაცის გაძარცვა მეძნელებოდა...
სხვები ჰლხინობდნენ და მე კი რული
ცრემლისა თვალზედ არა მშრებოდა,
ჩემი გულადი ამხანაგები
ჩემ გულჩვილობას იქ დასცინოდნენ,
მაგრამ ღრუბელმა გადაიარა,
თან გადიტანა ჩემი ნაღველი;
ცარიელ ჯიბემ გამოიდარა
და გულმა ნაღველს დარია ხელი.
ფულებსაც მალე შევეჩვიე მე,
კიდეც ვლხინობდი, კიდეც ვმღეროდი,
„ელიზს“ ვუვლიდით ჩვენ ერთგულადა
გავიზიარეთ ყველამა საქმე.
„ომეგას“ ვსდიეთ ერთხელ მგლურადა
და დავეწიეთ ქარელის გზაზე,
ამოვულაგეთ ბოლო კაპიკიც,
თითქოს მათ ჰქონდათ „ელიზის“ ვალი,
ვერ გაიგებდა თვით ეშმაკიც კი,
ისე წავშალეთ ჩვენ ჩვენი კვალი.
ბევრი სხვაც ახსოვს ჩემს ბიჭობასა...
მაგრამ სად არის ეხლა ის ფული,
რას ვიფიქრებდი აქ დაჯდომასა
მე იმ ფულებით გზადაკარგული...
გამოხდა ხანი და ერთიც ვცადეთ,
მაგრამ ამჯერად ბედმა დაგვცადა,
„ომეგას“ ფული მიჰქონდა გზაზედ
და ეს ამბავი შევიტყვეთ ასე:
ჩვენ ტელეფონი გვქონდა ჩართული,
ფოსტაში გვეჯდა ქალი მწყაზარი
და როს „ომეგა“ იყო გართული...
ყველა ვიცოდით მათი ბაზარი...
ღამით შევიტყვეთ, დილით მიჰქონდათ
და რომ წაეღოთ მოუსავლეთშიც,
იმათი ფული ისე გვინდოდა
გავგულადდით და ისე გავეშდით,
ჩავჯექით დილით თოფ-იარაღში
და დაველოდეთ იმათ „ნივასა“,
ვით ჯამბაზებმა დანა ცხრიანში
ტყვია ბორბლებში ისე მივასეთ.
და მივეჭერით...
თქვენი ჭირიმეთ, გვითხრეს, ბატონო,
შეგვარჩინეთო ჩვენ ჩვენი სული,
ვის რად უნდოდა იმათი სული,
ასეც ვუბრძანეთ,
თქვენ თქვენი სული, ჩვენ თქვენი ფული...
სულ გათამამდნენ, სული რომ შერჩათ,
აღარც მოცემა ფულის მოუნდათ.

„ომეგას“ ხალხი. თქვენს სადღეგრძელოდ
ოღონდაც ახლა შინ დაგვითხოვეთ,
რომ უკან წასულს ოჯახს ვუშველოთ,
და მერე თუნდაც ჩიტის რძე გვთხოვეთ,
კულუხს, კოდის პურს, გადასახადსა
ისევ პირნათლად მოგართმევთ თქვენა.
ჰო, ასე გვითხრეს, რადგან ფორმაში
პოლიციელის ვიყავით ჩვენა
და სახელმწიფო ხალხი ვეგონეთ...

„ელიზის“ ხალხი. ეგ რამ არ იყოს, გაექცეოდით
თქვენ ჩვენს სამსახურს, ჩვენს ბრძანებასა?
ქოფაკნო, ნუთუ მაგას ჰფიქრობდით,
რომ გვიბედავდით ე მაგის თქმასა?

„ომეგას“ ხალხი. არა გვქონია მაგის
ფიქრი ჩვენ,
თქვენი რისხვაცა არ გაგვიწყრება...
მაგრამ გვიბრძანეთ, რით გემსახუროთ,
თუ ერთი გროშიც აღარ შეგვრჩება?

„ელიზის“ ხალხი. ვერ უყურებთ ამ
ქოფაკებს, ჩერჩეტთ,
გვირჩევენ ჩვენი გვერჩიოს თქვენსა
არა ცოტას სჯობს, რომ ბევრი გვქონდეს!

„ომეგას“ ხალხი. ჩვენ ჩვენი გვქონდეს,
თქვენ თქვენი გქონდეთ
და თქვენს სახელსა მტლად დავედებით.
„ელიზის“ ხალხი. გაგვეცა, ვირო,
ნუ გვეღრიჯები!
„ომეგა“. რომ გაგეცალოთ, ვისღა მივმართოთ,
თვით პოლიცია ხომა ხართ თქვენა,
უფულოდ ფირმა როგორღა ვმართოთ.
თუ თქვენ წაგვართმევთ ბატონო ფულსა,
რა ვუყოთ, რა ვქნათ, რა გვეშველება,
გვიბრძანეთ, თქვენი კვნესამე, თქვენი.
„ელიზი“. თუნდ სული გაგძვრეთ,
არ გვენაღვლება,
თავში ქვა იეცთ და ისა ჰქენით.
„ომეგა“. თქვე დალოცვილებო, ქვა ვიცეთ თავში,
რა პასუხია, როგორ იქნება!..
ჩვენც ვურევივართ ბიზნესში, ხალხში,
ჭამა-სმა გვინდა, გვინდა ცხოვრება...
„ელიზი“. სუ თქვე ქოფაკნო, გაიკმინდეთ ხმა,
ხმა... კრინტი-მეთქი, ძაღლნო თორემა,
ჩვენ არ მივხედავთ, ქალი რომ გიზით,
და უკან ჩაგჩრით ჯოხით მაგ სიტყვებს.
„ომეგა“. როგორ თუ ჩაგვჩრი! ხალხს
შიმშილით გვკლავ,
ცოცხალსა გვმარხავთ, ოჯახს გვიღუპავთ.
მართალს სიტყვასაც არ გვათქმევინებთ,
გზის ყაჩაღები ყოფილხართ თქვენა...
ბატატუნაშვილი. ეს იყო, ძმაო, ამ
სიტყვებმა ჰქნეს,
იმათთვის გაკვრა და ძალით ძლევა,
შენ იტყვი, რომ არ უნდა გვექნა ეს,
მაგრამ სიამით ფულს ვინ იძლევა?
აი, ეს საქმე ავილე თავზე,
მაშინ როს ვიყავ ბრმა იარაღი,
დღემდე შემკვეთი დავტოვე განზე,
და ეს ამდენი დავიდარაბა
მე დავიბრალე...
გამომძიებელი. რამ მოგიარა. დღეს რაღად
ამხელ მაშინ დამკვეთსა?
ბატატუნაშვილი. ვინც შემიკვეთა,
კიდეც შემპირდა
ცოტა ხნით ჩაჯექ, გამოგიყვან და ფულის ზღვაში
ამ კაცობისთვის გაბანავებ, ვით ნიმფას ქაფში.
შესწევდა ძალიც მას ქადილისა.
გამომძიებელი. მაშ დღეს რა მოხდა?
ბატატუნაშვილი. რა და, ბატონო, მოუსვიათ
ისიც ჩემს გვერდით.
თავს ვერ უშველა, დაიღუპა და მეც დამღუპა
ჩამტოვა მე ამ გენიაში, ცეცხლში, ლადარში.

*გარედან მოისმის ყვირილის ხმა – მე თქვენ ყველას შეგჭამთ. მექრთამეებო, ქურდებო, თაღლითებო, მე თქვენ ყველას შეგახრამუნებთ. გამომძიებელი გამოიძახებს ჩაფარს.*

გამომძიებელი. რა ყვირილია, ვინ იმუქრება გარეთ?

ჩაფარი. რა ვი, უფროსო, პრეზიდენტობა რო უნდოდა იმ კაცსა ჰგავს, შეგჭამთო იძახის. მეტს არაფერს ამბობს.

გამომძიებლს სახე დაებრიცება.

გამომძიებელი. არ ვარ. არ ვარ, ეს წაიყვანე (უთითებს პატიმარზე და უკან კარიდან გადის) ფარდა.

**I მოქმედების დასასრული**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# მოცლილი არც კინწმარიშვილია

გუშინ, ვაკის რაიონის სასამართლოში უნდა გამართულიყო სასამართლო პროცესი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის დემურ მიქაძის სარჩელთან დაკავშირებით, რომელიც ტელეკომპანია რუსთავი-2-ის ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის უკვე ცნობილი ერთ-ერთი ინფორმაციის გამო, არის აღძრული.



შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეები პატივისა და ღირსების შეურაცხმყოფელს რამდენიმე წლის წინ სასამართლოზე გამოცხადებას არ შეეხვეწებოდნენ. ეს პროცესი თავისთავად მნიშვნელოვანი იმითაც არის, რომ ქვეყანა, ეტყობა, მართლა დადგა დემოკრატიის გზაზე, მაგრამ ტელეკომპანიის წარმომადგენლებს, ეტყობა, ნამეტანი მოეწონათ დემოკრატია და პროცესი ამჯერადაც გადაადებინეს მოსამართლეს, საქმე ძალიან რთულიაო. (არადა, საქმე ძალიან მარტივია).

მიქაძის აღშფოთებულმა ადვოკატმა განაცხადა, დემურ მიქაძე თავისი თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე ყოველდღე ვერ ირბენს სასამართლოში, ანუ საქმეს საშველი დააყენეთო. ამაზე რუსთავი-2-ის კინწმარიშვილმა უპასუხა: მოცლილი არც მე გახლავართო.

ჟურნალისტები კვლავ ტყუილად მივედით პროცესზე, ვნახოთ როდის მოიცლის კინწმარიშვილი...

**ხათუნა მაღრაძე**

## კაკუბავა სიმართლეს ხომ არ გაურბის?

როგორც პარლამენტის პენიტენციალურ საკითხთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ, ელენე თევდორაძემ გეა-ს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, თამაზ ნადარეიშვილსა და დევნილ პოლიტპარტიათა საკოორდინაციო საბჭოს ლიდერს ბორის კაკუბავას შორის დღეს დანიშნულ სასამართლო პროცესზე აუცილებლად უნდა მივიდეს ბორის კაკუბავა. რადგან მართალიც რომ იყოს ადამიანი და პროცესზე არ გამოცხადდეს, ბუნებრივად იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი რაღაცის გამო გაურბის სიმართლეს.

თევდორაძის თქმით, იგი საწინააღმდეგოს ვერ ხედავს იმაში, რომ კაკუბავამ ბოდიში მოიხადოს ნადარეიშვილისთვის მიყენებული შეურაცხყოფის გამო, „პროცესი კი არაფრით არ უნდა ჩაიშალოს, მითუმეტეს, თუ გინდა სიმართლემდე მისვლა“ – აცხადებს ელენე თევდორაძე.

მისი თქმით, სულაც არ იყო აუცილებელი, ნადარეიშვილისა და კაკუბავას დაპირისპირება სასამართლომდე მისულიყო, რადგან ეს ის ხალხია, რომლებიც დღეს ერთად უნდა იყვნენ. „ჩემთვის გაუგებარია რატომ არიან ცალკე თუნდაც სასტუმრო „ივერიაში“ მიმდინარე აქციის მონაწილენი. ერთად დაჯდომა და მოლაპარაკება გაცილებით მეტს მოუტანს ლტოლვილებს, ვიდრე დაქუცმაცება და ერთმანეთთან ჩხუბი“ – განაცხადა ელენე თევდორაძემ. (გეა)

## სათქმელი არაფერი აქვთ

სასტუმრო „ივერიაში“ მიმდინარე დევნილი პოლიტიკური პარტიების მჯდომარე აქცია ისევ გრძელდება. დღეს აქციის 31 დღეა. როგორც გეა-ს კორესპონდენტს აქციის მონაწილეებმა აცნობეს, ხელისუფლება კვლავ დუმილს განაგრძობს და აქციის მოთხოვნებთან დაკავშირებით არანაირ რეაგირებას არ ახდენს. საკოორდინაციო საბჭოს ლიდერის, ბორის კაკუბავას თქმით, ხელისუფლება იმიტომ დუმს, რომ სათქმელი არაფერი აქვს.

„მთავრობა გვემალება, მაგრამ საინტერესოა როდემდე? შაბათს მიტინგს ვმართავთ იმ მოედანზე, სადაც შევარდნაძე ალლუმებს აწყობს ხოლმე. იმედია, მაშინ მაინც ინებებენ მოსვლას ან რეაგირების გაკეთებას“ – განაცხადა კაკუბავამ. (გეა)

## მაინც არ მოვალ

გეა-ს კორესპონდენტის შეკითხვაზე, რამდენად შეესაბამება სიმართლეს თამაზ ნადარეიშვილის ადვოკატის, ოთარ ბერიშვილის ინფორმაცია, თითქოს დღეს დანიშნული სასამართლო პროცესთან დაკავშირებით, ბორის კაკუბავამ ადვოკატი აიყვანა, „სრულიად საქართველოს დევნილ პოლიტპარტიათა საკოორდინაციო საბჭოს“ ლიდერმა განაცხადა, რომ ნადარეიშვილის ადვოკატს აღნიშნული ინფორმაციის გასავრცელებლად არანაირი საბაბი არ ჰქონდა, ვინაიდან კაკუბავას დღემდე არ აუყვანია ადვოკატი და არც აპირებს მის აყვანას, რადგან თავს დამნაშავედ არ გრძნობს და არც პროცესზე გამოცხადდება. „როგორც ჩანს, ბერიშვილს სხვა საქმე არ აქვს, ან საერთოდ, რა უნდა მას ნადარეიშვილის ადვოკატად?“ – კითხულობს კაკუბავა და აღნიშნავს, რომ იგი არავის უჩივის და არც სცალია ნადარეიშვილთან საკამათოდ, რადგან გაცილებით დიდი საქმისთვის – დევნილთა ფიზიკური გადარჩენისთვის იბრძვის. (გეა)

• მწერლობა •

# კარდუ

## ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი

აკაკი ბაქრაძე



### გაგრძელება

1914 წელს „სახალხო გაზეთის“ დამატებაში იოსებ გედევანიშვილის პიესა „სინათლე“ დაიბეჭდა. გრიგოლ რობაქიძეს მაშინვე გასჩენია სურვილი დაეწერა კრიტიკული წერილი „სინათლეზე“. უკითხავს კიდეც სამსონ ფირცხალავასათვის – დამიბეჭდავენ თუ არაო ასეთ სტატიას. სამსონი დაბეჭდვას შეჰპირებია. მაგრამ იმჟამად გრიგოლ რობაქიძე სახელმწიფო გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებოდა და წერილი ველარ დაუწერია. თუმცა განზრახვა არ დავიწყებია. მერე, როცა ქუთაისში ლექცია წაიკითხა – „გამარჯვება თუ დამარცხება“ – „სინათლეზე“ კრიტიკულად ილაპარაკა. კრიტიკამ ავტორი იოსებ გედევანიშვილიც გაალიზიანა და სხვებიც. აღშფოთებული ია ეკალაძე მაშინვე გამოეხმაურა.

„დარბაზი ხალხით იყო სავსე და უმრავლესობა უკმაყოფილო დარჩა ბ-ნ რობაქიძის ლექციით...

მოკლე წერილში ძნელია ბ-ნ რობაქიძის ლექციის გარჩევა, მით უფრო რომ ძნელია უცბათ გათვალისწინება – მოგონება ყველა იმისი, რაც იმან ილაპარაკა ჭრელ და უცნაურ სიტყვებით. ამიტომ ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ამ ლექციას, ვინაიდან იგი დიდათ საყურადღებოა არა, როგორც ლექცია მარტო, არამედ, როგორც „განცდა“ იმ ახალ მოდის ქართველ ფილოსოფოსებისა, რომელთაც საქართველო ჭაობი ჰგონიათ, რომელი ჭაობიც სურთ ამოაშრონ მხოლოდ თავისის ფილოსოფიით. ამათ ჰგონიათ, რომ მხოლოდ მათ შეიგნეს, შეისმინეს, შეითვისეს და განიცადეს ხელოვნება და ესთეტიკა, დანარჩენი ქართველები კი ველურები არიან!..

ვურჩევთ ახალგაზრდა ლექტორს მეტი პატივისცემით მოეპყრას ქართველ საზოგადოებასა და ქართველ მწერლებს და სიტყვების რახარუხისა და პირად აღშფოთების გამოთქმის ნაცვლად მეცნიერულ კრიტიკით აღიჭურვოს ხოლმე. ამის ძალ-ღონე შესწევს, თუმცა სცენაზე თავი ისე უჭირავს, როგორც არ შეეფერება კულტუროსან ახალგაზრდას“.

იოსებ გედევანიშვილსაც დაუცავს თავი. ამ საზოგადოებრივი გაღიზიანების პასუხად გრიგოლ რობაქიძემ „საპასუხო ბარათში“ თქვა: „ჩემის ფიქრით „სინათლე“, როგორც ხელოვნური ქმნილება, გარჩევადაც არა ღირს და, თუ მაინცა და მაინც მის წინააღმდეგ ავმხედრდი, ეს მხოლოდ მისთვის, რომ „სინათლით“ გატაცებაში ჩვენი ესთეტიური უკულტურობა დავინახე. ამ უკულტურობის გამომჟღავნება კი, ჩემის ფიქრით, საჭირო იყო და მეც ამ მიზნით გავარჩიე „სინათლე“.

დრამატურგიულ-თეატრალური საქმიანობა სწორედ ქართული ესთეტიკური უკულტურობის დაძლევის სურვილმა შთააგონა. გრიგოლ რობაქიძეს მყარად ჰქონდა ჩამოყალიბებული, როგორი თეატრის შექმნა ეწადა. 1922 წლის 25 სექტემბერს კონსერვატორიის დარბაზში მან ლექცია წაიკითხა – „თეატრი როგორც რიტმი“. მართალია, ამ ლექციის ტექსტს უშუალოდ არ ვიცნობთ, მაგრამ გაზეთმა „ბახტრიონმა“ (№14) ვრცლად გადმოგვცა მისი შინაარსი და დებულებანი.

„ბახტრიონის“ მიხედვით, გრიგოლ რობაქიძე მრავალი კუთხით შეხებია თეატრს. ჯერ პასუხი გაუცია კითხვისათვის – „არის თეატრი სრულიად დამოუკიდებელი ხელოვნება, თუ იგი წარმოებითი ხელოვნებაა მხოლოდ?“ თეატრი მას ყოველთვის დამოუკიდებელ ხელოვნებად მიაჩნდა. მას მაგიურ შემოქმედებას უწოდებდა. ხსენებულ ლექციაშიც ეს შეხედულება დაიცვა. უარყო ის აზრი, რომელიც თეატრს წარმოებით, ანუ შემოქმედების სხვადასხვა დარგის შემართებულ ხელოვნებად მიიჩნევდა. თეატრისათვის „სხვა ხელოვნებათა ყოველი ელემენტი მასალაა მხოლოდ ისევე, როგორც მხატვრობაში სალებავი არის მასალა“.

თეატრის თავისთავადობაზე სიკვდილის წინაც იტყვის სხარტად. „რომელ დრამას შეუძლია წარმოქმნას აკაკი ვასაძის გასაოცარი მიმიკა? თეატრი თავისთავადაა ხელოვნება“ („წერილი ირაკლი აბაშიძეს“).

არც დრამის გავრცელებულ განმარტებას ეთანხმება გრიგოლ რობაქიძე. „ნიცშეს ფილოლოგიურმა გამოკვლევებმა უკანასკნელად ცხადყვეს, რომ დრამა, ბერძნული სიტყვა (დორიული) ნიშნავს არა მოქმედებას, არამედ „ამბავს“. სიტყვის ასეთი განმარტებით ძირეულად იცვლება თეატრის შინაარსიც“. ყველა კრებითი ამბავი მას არ მიაჩნია თეატრალურ ხელოვნებად. თეატრალურ ხელოვნებად კრებითი ამბავი მაშინ ხდება, როცა იგი განცდილია ესთეტიკურად. ესთეტიკურ განცდად კი მიაჩნია ის განცდა, როცა სულითაც და ხორცითაც პოულობ შვებას, იწვი, განიცდი სიყვარულს საგნისადმი. თუ არ არის ეროსი, წვა, მაშინ არ არის შემოქმედება. არ არის მშვენიერების განცდა, ანუ არ ხდება თავისთავის დაცლა. არ იქმნება საკუთარი თავი სხვაში. ამიტომ იბადება თეატრი დიონისურ მისტერიებში. დიონისეს კულტი ნიშნავს გამოსვლას თავისთავიდან და სხვადქცევას. ბაქხანკები, სიბილები, მენადები და სხვანი იგივე დიონისეა, ოღონდ სხვა სახით მოვლინებული. დიონისემ გადალახა პიროვნული ზღუდე და სხვადიქცა. სხვაში ნახა თავისთავი. ეს სხვადქცევის პროცესი მისტერიულ დღესასწაულში მიმდინარეობს სხვებთან ერთად და სხვების თანდასწრებით. ასე ხდება თეატრალურ სანახაობაში. სცენაზე მსახიობი განახორციელებს სხვადქცევის პროცესს. სხვაში პოულობს თავისთავს.

როცა მსახიობზე ლაპარაკობდა, ჰინდურ მოძღვრებას „უპადჰისაც“ იშველიებდა. ამ მოძღვრების თანახმად, ყოველ ადამიანში იმთავითვე მოცემულია მეორე ადამიანის სახე. შეიძლება ეს მეორე ადამიანი საუკუნეების წინათაც კი ცხოვრობდა. იგი ნიღაბი კი არ არის, არამედ ნამდვილი აღეა. ამიტომ ყოველ ადამიანს შეუძლია სხვად იქცეს. ამ შეხედულებას ეხმაურება დიონისეს კულტიც. ხდება გამოსვლა პიროვნული ფარგლებიდან და გადასვლა სხვაში – უპიროვნოში ან ზეპიროვნულში. გრიგოლ რობაქიძის აზრით, მსახიობისათვის ეს არის მთავარი: თავისთავიდან გამოსვლა და ექსტატიური ხილვით, თრობით სხვა სახედ ქცევა. აქტიორს უნდა ჰქონდეს პლასტიური სული. შეეძლოს სხვისი სახის მიღება. მასში თავისი მეს გაშლა. მაგრამ გრიგოლ რობაქიძეს საკმარისად არ მიაჩნია მარტო რომელიმე სახის (ჰამლეტი, ოტელო, ოფელია და სხვანი) მოცემა. მისთვის მთავარია დიონისური გატაცება, თრობა. ამით აუდიტორიუმის მოჯადოება. მაგიური შთაგონების პათოსის შექმნა.

ამ ქმედებაში მსახიობს უნდა დახმარებოდა სიტყვაც, მუსიკაც, მხატვრობაც. ამიტომ, მისი აზრით, აუცილებლად სცენური ნაწარმოები მუსიკალური პრინციპით უნდა გაგებულიყო. სიმფონიას უნდა დამსგავსებოდა. ამას ყოველთვის ხაზს უსვამდა. ამაყობდა რომენ როლანის შენიშვნით. „ეს პრინციპი (სიმფონიურობა – ა.ბ.) იგრძნო ისეთმა დიდმა მწერალმა და თეატრის და მუსიკის მცოდნემ და მკვლევარმა, როგორიც არის რომენ როლლანი. იგი სწერს ერთ კერძო წერილში, რომ ჩემმი დრამების „მუსიკალურმა არქიტექტონიკამ იგი გააოცა (поразил). „მუსიკალური“ – ამ შემთხვევაში „სიმფონიურია“. „ლონდას“ ხელოვნების შესახებ იგი პირდაპირ ამბობს „L'envoutement magiqe“. (მაგიური ჯადოსნობა, магическое колдовство“) – წერდა გრიგოლ რობაქიძე 1930 წლის 11 აგვისტოს შალვა სოსლანს (შ.სოსლანის ნამდვილი გვარია სოსელია. წერდა ლექსებს, მოთხრობებს, ნარკვევებს. ქართულიდან თარგმნიდა რუსულად. დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში).

სცენური ნაწარმოების, ანუ, როგორც თავად იტყოდა, ნაქმნის სიმფონიურობა ხელს უწყობდა როგორც ეროვნული, ისე ეპოქის რიტმის გამოვლენას. სიმფონიურობის გვერდით, მეორე აუცილებელი ელემენტი თეატრალური წარმოდგენისა რიტმი იყო. მისი მტკიცებით, ყოველ ერს თავის რიტმი ჰქონდა და ყოველ ეპოქასაც – თავისი რიტმი. ჩეხოვის პიესები ვერასოდეს ვერ დაიდგმებოდა ქართულ სცენაზე კარგად. სრულიად სხვადასხვაა რუსული რიტმი და ქართული რიტმი. ქართული რიტმით ჩეხოვის პიესების თამაში არ შეიძლება. მთლიანად დაიშლება ჩეხოვის სამყარო. ქართველი კი რუსული რიტმით ვერ ითამაშებს ჩეხოვს. უბრალოდ არ შეუძლია და იმიტომ. რიტმი რასის თვისებაა. ვერც რასას შეიცვლის ვინმე და ვერც თვისებას. რუსებიც იმიტომ ვერ დგამენ შექსპირს, რომ სხვადასხვაა რიტმი შექსპირისა, ანუ ინგლისური და რიტმი რუსული.

ასეთია ეპოქაც. მასაც საკუთარი რიტმი აქვს. ბუნებრივია, ტექნიკური ცივილიზაციის რიტმი ისეთი ვერ იქნება, როგორიც იყო ანტიკური ან რენესანსის ეპოქის რიტმი. მწერალს აუცილებლად უნდა შეეძლოს ეპოქის რიტმის დაჭერა. თუ თეატრალური ნაქმნი ეპოქის რიტმიდან ამოვარდა, მას მაყურებელი არ მიიღებს. ვერ გაითავისებს. ამაში ხედავდა სპექტაკლების უმრავლესობის მარცხის მიზეზს.

ყველა ამ კომპონენტის თავმომყრელი და შემაკავშირებელი რეჟისორია. მისი ნების წყალობით უნდა გაერთიანდეს ყველა. ერთ სხეულად იქცეს. ამ ნების გამოსავლენად და განსახორციელებლად გრიგოლ რობაქიძე აუცილებლად მიიჩნევდა რეჟისორის მიერ ოკულტიზმის ცოდნას. ოკულტიზმი, მისი რწმენით, ანვითარებდა ადამიანში ნებას და მის საწყისს. ასეთი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებად მიიჩნევდა იგი კოტე მარჯანიშვილსაც და სანდრო ახმეტელსაც.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №109–119 1997წ, №1-4

საქართველო

# ორი რეჟიმის დროს აკრძალული წერილი

*__ალექსანდრე ორბელიანის__ საზოგადოება გამოსაცემად ამზადებს ამ დიდებული მოღვაწის თხზულებებს, რაც გათვალისწინებულია სამ ტომად. ალექსანდრე ორბელიანის ნაწერები ჩვენს დროში კანტი-კუნტად თუ დაბეჭდილა, უმეტესობა ჩაკარგულია ძველი პერიოდიკის ფურცლებზე და ბევრი სულაც გამოუქვეყნებელია – ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტში. გამოუქვეყნებლობა, მიჩქმალვა გასაკვირი არ არის, რადგანაც ალექსანდრე ორბელიანი ის პიროვნებაა, ვინც პირუთვნელად, შეულამაზებლად აღწერა საქართველოს ტრაგედია XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის შუა ხანებამდე. მის მატიანეს ვახტანგ კოტეტიშვილმა ზუსტად და მოხდენილად უწოდა „საქართველოს ავადმყოფობის ისტორია“.*

*ჩვენი გაზეთი დროდადრო შემოგთავაზებთ ცალკეულ ნიმუშებს ალექსანდრე ორბელიანის უცნობი, აკრძალული ნაწერებიდან, აკრძალულს, როგორც მეფის რეჟიმის, ასევე კომუნისტების დროს. მკითხველი ჩვენს წარსულზე სიმართლესაც შეიტყობს და სამომავლოდაც ძალიან წაადგება, თითქოს ჩვენი დღევანდელი ცხოვრების სურათებს ეცნობოდეს.*

*მემუარული ჩანაწერი „რუსების დასი ქართუელები ჩემზედ“ მოგვაწოდა სამტომეულის საერთო ხელმძღვანელმა, ცნობილმა მწერალმა და მეცნიერმა როსტომ ჩხეიძემ, რომელიც გახლავთ ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თავმჯდომარე და რომლის ღვაწლია ერისათვის წამებული ამ დიდებული პიროვნების გაცოცხლება ბიოგრაფიული რომანითაც – „ალექსანდრე ორბელიანი“.*

## ალექსანდრე ორბელიანი

# რუსების დასი ქართუელები ჩემზედ

რა ვქნა, რა უყო, ღმერთს ისე დაუბადებივარ, რომ საქართველოში მე რუსები არ მიყუარან? – მე ისინი რუსეთში დიდად მიყუარან, იქ უკეთესი ხალხი არ უნდა ისინი არიან და ბევრი კარგიც მახსომ მე იმათგან, მაგრამ აბა რა ვქნა, აქ მე ისინი არ მიყუარან, არა, ბევრჯელ ვეცადე, ეს ჩემი უსიყვარულობა იმათზე, ჩემს გულში მამეკლა, მარამ ვერას მოთმინებით ვერ შევიძელ, არა გამეწყორა. – არა გამეწყორა, მაგრამ ამის გამო ძალიან პირალესილები არიან: რუსების დასი ქართუელები ჩემზედ, აბა რა ვქნა რა უყო. ოთხი თუ ხუთი წლის ყმაწვილი რომ ვიყავ და ჩემთან რუსებზედ ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, იმათ ხსენებაზედ მე კი ტირილს დავიწყებდი. ერთხელ ბატონის მეიდანზედ (1) საღამოუამს, ერთი დასი რუსები (მგონია ერთი როტა იყო) მოვიდნენ, მწკრივათ დადგნენ და აქეთიიქიდგან დაიძახეს: რუსები, რუსებიო. მე ამისმეტი ველარ გავიგონერა, მაშინვე გავიქეც, შინ შევარდი, დედიჩემის მუხლზედ წავიქეც და გულამოჯდომილი ტირილი დავიწყე. დედაჩემს და მამაჩემს უკვირდათ, მკითხამდნენ: რა ამბავია, რა დაგემართაო? – მე ძლივს რას ყოფით ვთქვი: რუსები ვნახემეთქი. გაცინების მაგიერათ, იმათაც ჩემთან ტირილი დაიწყეს; მე მაშინ ვიქნებოდი შვიდი წლისა ანუ ცოტამეტ ნაკლები და ჩემგნით პირუელი ნახუაც იყო რუსებისა. აბა ახლა როგორ ამოვიღო ჩემის გულიდგან ეს, – ეს ნაყოფი დანერგილი ჩემზედ ღვთაებისგან?

ამ დროებში სარდლის ივანეს შვილის ლუარსაბისა და ეშკალაბაშის თამაზის ქალის ანას (ორივ სახლი ორბელიანები) ქორწილი მოხდა და სულხან ბეგთაბეგის დიდსახლს დარბაზში, (2) სადაც მეც ყმაწვილი ჩემ დედ-მამამ თან წამიყუანეს და სადაც ბევრი რუსებიც იყვნენ იქა. როდისაც მე ისინი დავინახე, სირბილით გამოვწიე წამოსვლა მინდოდა,. მაგრამ მამაჩემი მამაწია და გაჯავრებით დამაბრუნდა.

„სად მიხვალო?“

– არა, არ დავდგები, აქ რუსები ყოფილანმეთქი. ამაში დედაჩემიც მოვიდა, რას ყოფით დამაბრუნეს და მთავარმართებელ ტორმუსოვთან რეკამანდიიცით მიმიყუანეს: ჩუენი შვილი გახლავთო. იმანაც მიალერსა და სხუა რუსებმაც ბევრმა, მაგრამ მეკი ჩემს გულში დიდათ ვჯავრობდი ჩემს დედმამაზედ. (3).

ამის მეორე დღეს, ქვეშაგებიდგან რომ წამოვდექ ნამძინარევი, მაშინვე ჩემმა გამდელმა ლომისახარმა მკითხა:

„წუხელის ქორწილში როგორ შეექეციო?“

„ეჰ, რუსები იყვნენმეთქი“. მე უთხარი.

იმ საწყალმა ჯერ ცრემლები გადმოყარა და მასუკან წყევლას მოჰყუა იმათზე, რალა გავაგძელო, ცოცოტათ შევეჩვიე რუსებს და ბოლოდროს იმათ სამხედროს ჯარშიაც შევედი სამსახურში, უფრო სწორეთა ვთქუა, გარეშე მრჩევლებმა შემგზავნეს, ეგება დავჩუეულიყავ იმათთან, მაგრამ მაინც ის ჩემი ყმაწვილობის სიძულვილი იმათი დამჩემდა და ველარ ამოვხოცე გულიდგან.

ჩემს დაბადებით ხომ დაბადებით, მგონია დამატებით ჩემს ჩასაგონათ ესეც უნდა ყოფილიყო, რომ ის ჩემი გამდელი ლომისახარ (ნათლობის სახელი ხვარამზე) სულ რუსებს სწყევლიდა, საქართველოს მიმძლავრებისათვის და ხშირად გათენებისას დაჩოქილი ცრემლით ღმერთს ევედრებოდა: საქართუელო რუსებისაგან გამოიხსენიო და სხუანი... რომელმცა დაეით ალმაშენებელის დრამაშიაც გამოვთქუი ის ჩემი გამდელი მე და ასე ვგონებ, რომ უფროსი ერთი იმან გააცხოველა ჩემში ესა და ამასთან ჩუენმა გულმა ქართუელებმაც, უფრო კიდევ დაუმატეს ჩემს გრძნობას ესა.

როდისაც რომ სამხედრო სამსახური დაუტევე, იყო 1824 წელიწადი, მაგრამ მე 1823-ის წლიდგან მაისის დამდეგიდანვე, აგრერიგად აღარ ვასრულებდი თანამდებობასა, ამისთუის რომ გული ამეყარა სამსახურზედ და ჯვარის დაწერასაც ვაპირებდი ჩემს ეკატერინეზედ, რომლებმაცა ამ წელს 8-ს ივლისს ვიქორწინეთ და ახლა ხომ სრულად შევიძაგე სამსახური.

ჩემი სამსახურის თავის დანებების დროდგან, მოვყევ სიის გაკეთებას ჩუენის ძუელის ამბებისა, ადრინდელი გაგონილები თუ შემდგომნი, ჩემ სახსომრათ, რომ თავიდროზედ ის ანბები თვითვეულად აღმეწერა. ამ ამბებისთვის დავდიოდი ძუელს კაცებში და ისინიც მიამბობდნენ გულახდითა, არაფერს არას მიმალავდნენ. მეც ჩემს სიას უმატებდი იმათ ნაამბობსა, მაგრამ რომლებიცკი მეფის ირაკლისა ოჯახობის მტრები იყვნენ, თუმცა მე იმათთან ძუელსა ლაპარაკსა ძალიან ვერიდებოდი, ვიცოდი თავიანთი თავის გამართლებისათვის მართალს არ იტყოდნენ, მაგრამ მაინც კიდევ მოჰყუებოდნენ, იცოდნენ რომ ძუელს ამბებსა ვკრეფდი, დამაჯერებინონ: მითამ მართალს მიამბობდნენ. მე ის ძუელი ამბები ძალიან კარგათ წვრილად გამოკვლეული, გამოკითხული მაქუს, რომელმაცა ეს ანბები ვკრიფე, ვიდრე რუსეთიდგან, იქ გაზრდილი ჩუენი ყმაწვილი კაცები მოვიდოდნენ; როდესაც ისინი მოვიდნენ და მნახეს, საქართუელოს განთავისუფლება მითხრეს. მაშინვე მეც ვეთანხმე იმათ და საქმესაც შეუდექით. მე აქ ასე მოკლედ ვანბობ, თორემ იმისი ამბავი ბევრი არის.

ბოლოს ჩუენი საქმე გამოცხადდა, დაგვიჭირეს, (4) შემდგომ რუსეთში მიმოგვფანტეს და ბოლო დროს ჩუენს ქუეყანაში დაგვაბრუნეს, სადაც საპყრობილეში ვიყავ დაჭერილი 19-ს თვემდინ და გაგზავნილიც 5-ი წელიწადი და 8-ა თუემდისინ, და სადაც ჩემს ამ უბედურობაში, აქ თუ იქ რუსეთში უარესად განმიძლიერდა მე მამულის სიყვარული.

აქეთ რომ დავბრუნდი და ჩემს სახლში მოვედი ჩემ მახლობლებთან, მეგონა: ესესარის ჩემი გული დამშვიდდებამეთქი. არა, ველარ შევიძელი, ველარ მოვერიე ჩემ გულს, ველარ დავაწყნარე, უარესი და უარესი სურვილი მომეკიდა მამულისა. თუმცა მოთმინებით ვიყავ, მაგრამ ვაი იმ მოთმინებასა, რომელსაცა ბევრი მამცნევდნენ მე ამასა და ბევრთანაც არ ვმალავდი ჩემს ამ გრძნობას.

როდისაც ვარანცოვი ნამესტნიკად მოვიდა აქ და ქართუელი პირველი ოჯახები დაიახლოვა, იმისთანა გამოჩენილ კაცთან, ზოგიერთს იმის მახლობელ ქართუელებს უნდა დაენახვებინათ, მითამ სამსახური რამე იმისთვისა, ამის მიზეზისა გამო დამაბეზღეს იმას და ჩემი ბევრი ორგულობა უთხრეს რუსეთისა; არც ტყუოდნენ, მაგრამ ამ გუარდ კაიკაცობის გაკეთება იმისთანა ოჯახის შვილებისაგან, სირცხვილია. ეს დაბეზღება მე იმათ არ მაკმარეს, მასუკან დამაბეზღეს: შამილთან მიწერმოწერა აქუს დაღისტანშიო, (ეს ანბავი ცალკე მაქუს აღწერილი) რომლის გამო ძალიან ჩავარდი მთავრობის ეჭვსა ქუეშე და შპიონები ამადევნეს. შესანიშნავი ეს არის რომ ჩემი ის მახლობელი ქართუელები მაბეზღებდნენ (5) და თვითონვე მიხსნიდნენ. მაბეზღებდნენ ამისათვის რომ თავის რწმუნებასა იკეთებდნენ, გავლენა ჰქონოდათ მთავრობაზედ: თქვენის ერთგულობისათვის, ჩვენს მახლობელსაც არა ვზოგამთ, იმის ყოველს მთავრობის წინააღმდეგობას გიცხადებთო და მიხსნიდნენ ამისათვის თავიანთი სვინიდისი აყენებდა იმათ, – არ მიეცათ, მაგრამ რავდენი გულის სავნებელი წყენა მამაყენეს და რამთენ რიგად ვილანძღებოდი იმათგან. ასე გაშინჯეთ ხანდისხან პირშიაცხოლმე.

ვითმენდი მხოლოდ ჩემის მამულისათვის, რომ პირათ იმათთვის იმათებური ვერა მეთქუა რა; არა შემამთხვიონრა და ჩემი მშობელი ქუეყუანა უმზრუნველო არ დარჩესმეთქი.

დავრჩი მარტო უამხანაგოთ, ასე რომ ჩემის მეტი ჩუენის ქუეყნისათვის აღარავინ აღარ იყო და თუ იყო ვინმე, დიახ ცოტა. (6) ადრინდელი ჩემი ამხანაგები რუსეთის მთავრობას მიუდგნენ, იმათი ჩინოვნიკები შეიქმნენ, იმათ სიმართლეც მიუძღოდათ, ამიტომ რომ აღარაფრის იმედი აღარ იყო, თვინიერ მთავრობასთან დაახლოება, და ახლობელიც ვინც იყვნენ, ისინიც მთავრობას მისდგომოდნენ, მინამ რუსეთიდგან საქართუელოში მოვიდოდით ჩუენა იმ დროებში და მასუკან ვინც



გამოდიოდნენ, ისინიც იმათ მიუდგებოდნენ, სადაც მე მარტო დავრჩი მთავრობის ეჭვის ქუეშე და სადაცა შპიონებსა ჩემზედ ხმებს აყრევინებდნენ, ბევრს უსვინდისოს ტყუილებსა, რომ ხალხში რწმუნება დამიკარგონ, მაგრამ მე იმათმა ხმებმა და ჩემზედ იმათმა ჭორუკაობამ, უკან ვერ დამაყენა, არამც უკან დამაყენა, – უფრო ძალა მამცა, მინამ დავრდომილება. მხოლოდ ეს კი იყო რომ ხალხი ჩემგნით გააყენეს იმათმა იმთენმა უსვინისო მოგონილმა ტყუილებმა ჩემზედ.

ერთს დღეს ერთი კარგი ჩუენი თავადი ა... თ... რუსების მხარეს შეჭრილიყო ერთს კარგს სახლში და გულგახეთქილად მოჰყოლოდა ჩემზედ; რალა გითხრათ ბევრს ავს და ბოლო დასაბოლოებლად ეს ეთქუა: თურმე რუსები სძულსაო და ხელმწიფის ორგული არისო.

აი ბატონებო, ამ ორის მიზეზისგამო: რუსები სძულს და ხელმწიფის ორგული არისო, თან ამასთან ჩემი ცუდად ხსენება ბევრის ტყუილებით. სულ ეს ამისთანა ამბები იყო ჩემზედ ვარანცოვის დროსა, ამიტომ რომ ეს ცფიერი დიდი დიპლომატიკი და გამოჩენილი კაცი, ცფიერულად უალერსებდა სუბუქ ჭკოვანს ზოგიერთს ქართუელებსა და იმათაც დიდი ყოფა ჰქონდათ ვარანცოვისათვისა, ერთგულებას აჩუენებდნენ.

ჩუენში ნათქომია: სადაც მტერები ჰყავს კაცსაო, იქ მოყვრებიცაო. [illegible] მოყვრები მეც მყავანდნენ რომლებიც ჩემზედ იმ ჩემს ამბებს მატყობინებდნენ და თანაც მაფრთხილებდნენ. სხუა წარსრული მთავარმართებლები ხომ გუატყუილებდნენ, მაგრამ ისინი უფრო დესპოტურათ მძვინვარებდნენ, მარამ ის დრო ვარანცოვისა საქართუელოში, ჩუენგნით გამოუცდელი სულ სხუა გუარი მოსატყუებელი დრო იყო ჩუენი ვარანცოვისაგან, ასე ამგუართ რომ ბევრის კაიკაცობის ალერსითა, მითამ კაიკაცობას გვაჩვენებდა, ნამეტნავად უფრო კიდევ იმათ მომატებით, ვინც რუსეთის ინტერესზე იქცეოდა. ამასთან ხელგაშლილი ჩინებს და სხუადასხუა ჯილდოს იძლეოდა, თან ბევრი კარგი შექცევა და განცხრომა ჰქონდა ხოლმე, სადაც აღტაცებულისა სიხარულით და გიორგი ერისთავის კამედიებს წარმოადგენდნენ თვით გიორგის ზედამდეგობით და ქართულს ჟურნალს ცისკარსაც გიორგივე გამოსცემდა და კიდევ რამთენი რამ მოიგონა ვარანცოვმა ჩუენი მოსატყუებელი... ერთი სიტყვით, ის ვარანცოვის დრო ქართუელებისათვისა თავისუფალი დრო იყო, როგორც უწინ მეფეების დროები, სადაც ვარანცოვთან ყოველს დიდპატარას ადგილი ჰქონდა თავისუფლად სიტყვის თქმისა, ანუ საჩივრისა, რომელიცა ისიც ისე ალერსით და სიყუარულით მიიღებდა, როგორც ჩუენი მეფეები უწინ.

ერთობ ქართუელებსა ასე ეგონათ, საქართუელოში სულ ეს ამბავი ასე დარჩებოდა: იმისთანა ჯილდოები, იმისთანა განცხრომშექცევანი, იმისთანა თიატრლიტერატურა, იმისთანა თავისუფლებანი და ამიტომ ვარანცოვის სახელს ადიდებდნენ ქართუელები: ეს რა ღვთიური კაცი მოგვივიდაო. მაგრამ მეკი ზედმიწევნით ვიცოდი, ესეები სულ მოჩუენება იყო ვარანცოვისაგან, რომ საქართუელოს ხალხი გართულები იყვნენ დროებითად ამაებში და მთავრობაზედ ცუდი ფიქრი აღარავის აღარ ჰქონდეს, ამისთვის რომ ვარანცოვის დროსა შამილი და დაღისტანი განძლიერებული იყვნენ; ქართუელებისაგანაც ეშინოდა მაგრამ ვარანცოვმა იმ თავისი ცფიერულის გონებითა ესეები სულ ჩაშალა და ბოლო დროს ისევ ისე მონებაში დარჩნენ ქართუელები, როგორც ადრე იყვნენ რუსებისა.

თუ ოდესმე იმისთანა მოუთმენლობის შემთხუევა მექნებოდა, ხანდისხან მეც ჩემი ხასიათის გულგაშლილის სიწრფელითა, ვარანცოვის მოქმედებაზედ ვიტყოდი, აღარც მე დავერიდებოდი.

– გუატყუებსმეთქი და სხუანი.

ის ჩემი მახლობელი ქართუელებ) გაჯავრებით მიპასუხებდნენ.

შენ რას ხედავ, შენ რა იცი იმის საქმეები? – შენ კარგად უნდა იცოდე, რომ ვარანცოვის ჩაყრილი მაგარი საძირკველი საქართუელოში ველარ მოიშლება, ისევ ისე დარჩება, როგორც ვარანცოვმა დააწყო და ჩაყარაო.

რავქნა, მომატებული ველარა მეთქუა, სავნებელი არა ექნათრა ჩემთვის და ამისთვის გავკმენდდი ხოლმე ხმასა, იქამდისინ რომ მე იმათ თვალში გიჟი დასაბმელი ვიყავ, ისინი საკვირველი დიდი გონიერები. იჰ, დამონებულობის სიამოვნებით გადარეულები იყვნენ ისინი.

ვარანცოვი ასე ამ სახით იყო ჩუენზე, მე კიდევ მოკლეთ გამამყავ იმისი ანბები, თორემ იმისი ყოველი მიმართულება, იმის ცხრა წლის მართუელობა კავკაზია საქართუელოში, სულ რუსეთის ამაღლება იყო და ცფიერულად ჩუენი წახდენა.

ჰმ, მითხრან, ან რა კეთილმდგომარეობაში შეგვიყუანა ვარანცოვმა ჩუენა, რა კარგი დაგვეტყო იმისაგან? – ჰოო. მართალია ერთი კი რამ: იმგვარი საფუძველი დასდუა ჩუენში, რომ თუ ერთი ღვთის განგებულება არა მოხდარა ჩუენზედ, ბოლოს ჩუენი ქართუელები სულ გარუსდებიან, ასე რომ ერთი ინჩი ქართული სიტყუა აღარ იქნება ქართუელებში და მხოლოდ ის გადარუსებულები იტყვიან: ერთს დროს ამ ქუეყანაში ქართუელები ყოფილანო. აი ეს საფუძველი დასდუა ჩუენთვის ვარანცოვმა, ასე რომ ვარანცოვამდისინ ქართუელები შორს ვიდექით რუსებზე და იმან რუსებში გაგვერია შეგვაერთა იმ ცფიერმა დიპლომატმა. მაგრამ – მაგრამ ესკი არის რომა ის მომავალი გადარუსებული თესლი და აქ დასახლებული რუსები თავისდროზედ, ერთად თავს იპოვიან ამ შეუალს სიმაგრეებში; ისინი რუსეთისაგან ამქვეყანას გამოიხსნიან „კავკაზიის“ სახელობაზედ და დასდებენ იმის სამძღვარს: დონის მდინარითგან თაერიზ ქვევით ყაფლანთის მთამდინ, შავიზღვიდგან კასპიის ზღვამდისინ და ეფრატ-ტრაპიზონიდგან ასტრახნამდისინ. ვაიმე რომ მაშინ ქართუელები აღარ იქნებიან, ამას მე გულმოკლული ვანბობ, მაგრამ ესკი იქნება რომ სწორე კაცობრიობა

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## წლის საუკეთესო ადამიანი

*ბატონ მიხეილ სააკაშვილს არასამთავრობო ორგანიზაციების გამოკითხვის შედეგად, როგორც უკვე საყოველთაოდ ცნობილია, წლის საუკეთესო ადამიანის წოდება მიენიჭა.*

*ვთვლით, რომ ეს გამოკითხვა ობიექტურია. ჩვენი რედაქცია სიხარულით ულოცავს დეპუტატს ამ უმნიშვნელოვანეს აღიარებას. ამ სიხარულს ისიც გვანიჭებს, რომ მიხეილ სააკაშვილის პირველი სერიოზული პუბლიკაციები სწორედ „საქართველოში" გამოქვეყნდა...*

*გთავაზობთ დაჯილდოების ცერემონიალზე სააკაშვილის მიერ წარმოთქმულ სიტყვას.*

# საქართველოს განთავისუფლება სიცრუით ცხოვრებაზე უარის თქმაშია



მინდა გულწრფელად გითხრათ, რომ წლის ადამიანის ტიტულის მონიჭება იყო ყველაზე დიდი ჯილდო, რომელიც ოდესმე მიმიღია და ალბათ რომელსაც მომავალში ოდესმე მივიღებ. ამ ჯილდოს განსაკუთრებულობა იმაშია, რომ მას ანიჭებენ თავისუფალი მასმედია და არასამთავრობო ორგანიზაციები, ე.ი. სამოქალაქო საზოგადოების ორი ყველაზე ჯანმრთელი ჩანასახი. ამ თვალსაზრისით სწორედ თქვენ ხართ საქართველოს მომავალი და საქართველოს მომავლის მიერ წოდების მონიჭება საპატიოც არის და ძალზე საპასუხისმგებლოც. აქვე მინდა განვმარტო, რომ მე ამ ჯილდოს არ ვიღებ პერსონალურად. ვგონებ, წლის ადამიანის არჩევისას კანდიდატურები იძებნებოდა ძირითადად ჩემი თაობის პოლიტიკოსებს შორის და აქაც ვთვლი, რომ ამ წოდებას თქვენი შარშანდელი ნომინანტი ზ.ჟვანია უფრო იმსახურებდა თუნდაც იმის გამო, რომ ვერცერთი ის საკანონმდებლო აქტი, რომლის გამოც მე უპირატესობა მომენიჭა, ვერ გასცდებოდა საწყის სტადიას, თუ არა პარლამენტის თავმჯდომარის თანმიმდევრული და ხშირად პიროვნულ რისკთან დაკავშირებული მხარდაჭერა. მაგრამ თუ იმის გამო, რომ იგი უკვე ერთხელ დასახელდა და წელს ახალი კანდიდატურა იყო საჭირო, ჩემი თაობის პოლიტიკოსებში ალბათ სხვაც მოიძებნებოდა გამორჩენილი და დასაფასებელი. ამჟამად ბედმა მე გამიღიმა, რომ აღმოვჩნდი ამ დროს, ამ ადგილას. ვინაიდან არაჩვეულებრივი ადამიანები საერთოდ ცოტანი არიან, არსებობს არაჩვეულებრივი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა კონკრეტულ მომენტში და ადგილას აღმოჩენილ ადამიანებს უხდებათ. და აი, დღეს ამ დარბაზში მე, ამგვარი ჩვეულებრივი ადამიანი, ვარ თქვენს წინაშე წარმოდგენილი.

რას ნიშნავს იყო პოლიტიკოსი და მით უმეტეს იწოდებოდე წლის ადამიანად ქვეყანაში, რომელსაც შელახული აქვს ეროვნული თავმოყვარეობა, რომელიც ვერ აკონტროლებს თავისი ტერიტორიის დიდ ნაწილს, რომლის მოსახლეობის 80 პროცენტს არა აქვს მუდმივი შემოსავლის წყარო და შემთხვევითი შემოსავლებით ირჩენს თავს, ქვეყანაში, სადაც ძალზე დაბალია ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტისადმი და სამაგიეროდ მაღალია ცინიზმის ხარისხი და გულგრილობა ზოგადად პოლიტიკისადმი და პოლიტიკოსებისადმი.

გამოგყოფდნენ როგორც პოლიტიკოსს ასეთ ქვეყანაში, ნიშნავს იმას, რომ საზოგადოება უარს ამბობს ძველებურ ცხოვრებაზე და ავანსად გიცხადებს ნდობას, იმ იმედით, რომ შენც მისი მოკავშირე იქნები და დაეხმარები მას ამ რეალობის შეცვლაში.

### რა არის დღეს შესაცვლელი საქართველოში?

პირველ რიგში ჩვენ, როგორც საზოგადოებამ, ბევრი რამ უნდა შევცვალოთ საკუთარ თავში, უმთავრესი კი იმ მონური ფსიქოლოგიის გადალახვაა, რომელსაც ჯერ კიდევ მყარად აქვს გამჯდარი ფესვები საზოგადოებრივ ცნობიერებაში და თითოეულ ჩვენთაგანში. ჩვენ ფორმალურად გავთავისუფლდით როგორც ქვეყანა, მაგრამ ნამდვილად თავისუფალი ქვეყანა მხოლოდ შინაგანად თავისუფალმა ადამიანებმა შეიძლება ააშენონ. საკმარისია გადავხედოთ დღევანდელი ბეჭდვითი ორგანოების ფურცლებს და მაშინვე თვალში საცემი ხდება ის, რომ საზოგადოებრივი ძიების ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად პერსონიფიცირებული კერპის ძებნა ქცეულა. კერპს ეძებენ ყველგან, თუ ეს აწმყოში ვერ ხერხდება, წარსულის აჩრდილებს აცოცხლებენ და აიდეალებენ, ხდება მათთან თვითიდენტიფიკაცია და მათი იდეების გატარების მცდელობა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საზოგადოება მამა და მარჩენალის გარეშე ორიენტირს ჰკარგავს და დაობლებულად გრძნობს თავს. უნდა პირდაპირ ითქვას ქართული საზოგადოების განთავისუფლება უპირველესად კერპთაყვანისმცემლობისაგან განთავისუფლებაა. კერპებს უპირისპირდებიან ეროვნული გმირები. ეროვნული გმირის მთავარი მოწოდება სწორედ ჯერ მისი შინაგანი განთავისუფლება და შემდეგ საზოგადოებისათვის თავისუფლებისაკენ გზის გაკვლევაა. სწორედ ეს განასხვავებს მას მამა და მარჩენალისაგან. მამა და მარჩენალის იდეის მთავარი მკვებავი ნიადაგი სწორედ ერის დაკნინებაა, თავისუფლების იდეაზე ხელის აღებაა. სწორედ ის გარემოება, რომ საქართველოს კერპებზე უფრო მეტი გმირები ჰყავდა, არის ჩვენი გადარჩენის ერთ-ერთი მთავარი საიდუმლო. მაგრამ არა მხოლოდ ცალკეულმა გმირებმა, არამედ ყველა ადამიანმა უნდა ისწავლოს საკუთარი უფლებების, საკუთარი თავისუფლებების დაცვა და არა ზემოდან ბოძებული წყალობის იმედზე ყოფნა. ისინი უნდა მიხვდნენ, რომ ყოველი ადამიანის კერპი პირველ რიგში საკუთარი თავია, ხოლო მთლიანობაში საზოგადოების ორიენტირი პიროვნებაზე უფრო მეტად იდეებია, რომელსაც კონკრეტული პიროვნება განასახიერებს, ხოლო საზოგადოების მამოძრავებელი ძალა ამ იდეების მიღწევის გზაზე საზოგადოების წევრების გამონთავისუფლებული შინაგანი ენერგია უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ ეს გამონთავისუფლებული ენერგია ბევრს შიშის ზარს ჰგვრის, მე ღრმად მწამს, რომ ქართველი ერის შემდგომი წინსვლა წარმოუდგენელია ინდივიდუალიზმის განვითარების გარეშე და მომავალი საქართველო მოისაზრება სწორედ როგორც თავისუფალი ინდივიდუმების გაცნობიერებული არჩევანის შედეგი.

### პიროვნული თავისუფლებიდან ეროვნულ თავისუფლებამდე

პიროვნულ თავისუფლებას მივყავართ ჭეშმარიტ ეროვნულ თავისუფლებამდე. მეორედ ამ საუკუნის განმავლობაში ჩვენ მოგვეცა ისტორიული შანსი შევქმნათ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო. როდესაც ქართველ ხალხს პირველად გაუჩნდა ეს შესაძლებლობა 1918 წელს, აღფრთოვანებული ზურაბ ავალიშვილი წერდა: „საქართველო შევიდა ევროპულ პოლიტიკასა და ისტორიაში, დადგა ჩვენი არსებობის პროვინციულ-რუსული ფაზის აღსასრული". გავიდა სამ წელზე ნაკლები და საქართველოს დამოუკიდებლობის აღსასრულს მოჰყვა კიდევ 70 წლიანი პროვინციული რუსული პერიოდი. ეს იყო ტრაგედია, რომლის შედეგებიც ჩვენ კიდევ მრავალი ათწლეული გაგვყვება. მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება იქნება ის, თუკი ეს ტრაგედია განმეორდა. ამის საფრთხე დღეს სავსებით რეალურია. ქართველმა ერმა დაამხო სერგო ორჯონიკიძის ძეგლი, მაგრამ დღისით, მზისით დაშლილ კვარცხლბეკზე შემოხტომის მსურველთა გრძელი რიგია დამდგარი. ჩვენ ყოველდღიურად სხვადასხვა საჯარო ტრიბუნებიდან ვისმენთ ნამდვილ გნიასს და შელოცვებს იმის თაობაზე, რომ დროა შევურიგდეთ ჩვენს ბედს, მივხვდეთ, რომ სასურველი ყოველთვის არ ემთხვევა შესაძლებელს და დავუბრუნდეთ ჩვენი განვითარების იმ ფაზას, რომლისგანაც თავის დაღწევა ასე უხაროდათ ზ.ავალიშვილს და სხვა მამულიშვილებს. რითი აიხსნება მსგავსი შეხედულებების ასეთი მოზღვავება, რომელიც ღრმად შეურაცხმყოფელი იქნებოდა ნებისმიერი მცირეოდენ თავმოყვარე ერისათვის? ისევ და ისევ ჩვენში მონური აზროვნების რეციდივებით, იმით, რისი ჩანერგვაც იმპერიამ ორი საუკუნის განმავლობაში კარგად მოახერხა, თავისუფლების ინსტიქტური შიშით და თავისუფლებისაგან გამოსავლის ორჯონიკიძეობაში ძებნით. მანამ, სანამ მონური სულისკვეთებაა ჩვენში გამჯდარი, ორჯონიკიძეც ყოველ ჩვენგანში იჯდება და თავის დროს დაელოდება.

### დაბრუნება მშობლიურ სახლში

არ არის გასაკვირი, რომ ის ადამიანები, ვინც ამ აზრებს ქადაგებს, სწორედ ყველაზე დიდი აპოლოგეტია მამა და მარჩენალის იდეისა. ლოგიკურია ისიც, რომ ისინი სამკვდრო-სასიცოცხლო წინააღმდეგობას უწევენ საქართველოს დაბრუნებას ევროპაში. ევროპის წინააღმდეგ მოძრაობა ეფუძნება ყალბ ცნებას იმის თაობაზე, რომ უცხო კულტურასთან შეხება გამოიწვევს ჩვენი საკუთარი ფასეულობების გაჩანაგებას და მოსპობას. სულ უფრო შესამჩნევია ტენდენცია, რომელსაც პირობითად ქართული ფუნდამენტალიზმი შეიძლება ვუწოდოთ, რომელიც თავიდან ბოლომდე ისტორიულ და კულტურულ უმეცრებას ეფუძნება. ფუნდამენტალიზმი ეროვნული კარჩაკეტილობის და პროვინციალიზმის ერთ-ერთ სახესხვაობას წარმოადგენს, ხოლო პროვინციალიზმიდან იმპერიაში გაერთიანების სურვილამდე ერთი ნაბიჯია. ახლად გამომცხვარი ქართველი ფუნდამენტალისტები იგნორირებას უკეთებენ მთავარ ისტორიულ ჭეშმარიტებას, რომ საქართველო ძლიერი იყო სწორედ მაშინ, როცა ფართო კავშირები ჰქონდა დასავლურ სამყაროსთან და ცივილიზებული სამყაროც არ მოიაზრებოდა საქართველოს გარეშე, მაშინ, როდესაც საქართველოზე გადიოდა მთავარი გზები, როცა ქართული კულტურა მდიდრდებოდა სამყაროს სხვა კულტურებთან ურთიერთქმედებით და თავის მხრივ ბევრს აძლევდა ამ კულტურებსაც. ამ პერიოდმა ჩამოაყალიბა ჩვენი ერის საუკეთესო თვისებები, რომლებიც შემდგომ ძალზე დაგვეხმარნენ გადარჩენაში. ყველაზე მძიმე პერიოდშიც კი - ტოლერანტულობა, კულტურული პლურალიზმი და განათლების მაღალი დონე. არ არის შემთხვევითი, რომ ქართველი ერის ისტორიულმა მეხსიერებამ შემოინახა ინსტინქტური ლტოლვა ევროპისაკენ. ევროპული ოცნების განხორციელებას საუკუნეების განმავლობაში მთელი სიცოცხლე მიუძღვნა მრავალმა ეროვნულმა მოღვაწემ. ჩვენი ფუნდამენტალისტები დასავლეთისგან საფრთხობელას ქმნიან, მაგრამ ამ საფრთხობელას კარგად ნაცნობი საბჭოთა იმპერიის ნაკვთებით ამკობენ. სწორედ იმპერიამ ჩაუკეტა გზა საქართველოს გარე სამყაროსთან, სწორედ იმპერია ეფუძნებოდა კულტურათა ნიველირების კონცეფციას, რომელიც თავისი არსით ბოლომდე ანტიევროპულია, რადგან ევროპის ძირითადი პოსტულატი კულტურათა მრავალფეროვნება და ამ მრავალფეროვნების ერთიანობაა. ამიტომ არის, რომ ევროპაში შესვლის უმთავრესი წინაპირობა დამოუკიდებელი, თავმოყვარე სახელმწიფოებრიობაა.

### საჭიროა კი საერთოდ ახალი ქართული სახელმწიფო?

პოლიტიკოსთა დღევანდელი თაობის ძირითადი ამოცანა სწორედ იმაშია, რომ გასცეს პასუხი უმთავრეს კითხვას - რაში სჭირდება ქართველ ხალხს დამოუკიდებელი სახელმწიფო.

სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულება სამართლიანობის გარანტირებაა. ამისათვის სახელმწიფო უნდა იყოს დემოკრატიული და სამართლებრივი. იმისთვის, რომ სახელმწიფო დემოკრატიული იყოს, მხოლოდ ხალხის არჩევანი არ კმარა, აუცილებელია ასევე, რომ მასში არ არსებობდეს შეუზღუდავი აბსოლუტური ხელისუფლება. ჯერ კიდევ ინგლისში მაგნა ქარტას მიღებამდე, ჩვენს ერს უკვე გააჩნდა აბსოლუტური ხელისუფლების შეზღუდვის გარკვეული ტრადიცია. ხელისუფლებათა განაწილების პრინციპს ეფუძნება ასევე საქართველოს კონსტიტუცია. ეს პრინციპი საქართველოში რეალურად ამუშავდა და თავის დადებით შედეგებს იძლევა. დღეს შეიძლება იმის კონსტატაცია, ჩვენ გაგვიჩნდა სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის რეალური პერსპექტივა. რიგ გარემოებათა გამო, გარდა შუასაუკუნეობრივი ქართული ტრადიციისა, საკმარისია გავიხსენოთ ისიც, რომ პირველმა დამოუკიდებელმა ქართულმა რესპუბლიკამ შექმნა კონსტიტუცია, იმდროინდელი მსოფლიოსათვის ადამიანის უფლებების ერთ-ერთი საუკეთესო გარანტიებით.

### პრეზიდენტის ფაქტორი

დღეს ჩვენთან შექმნილი მდგომარეობა უნიკალურია პირველ რიგში საქართველოს პრეზიდენტის პიროვნების გამო. დღევანდელმა პრეზიდენტმა არაერთხელ დაადასტურა, რომ მას ძალუძს ხელისუფლების შენარჩუნების ტაქტიკურ ყოველდღიურ საკითხებზე მაღლა დააყენოს ძირეული ინსტიტუციური ცვლილებები. დღეს სწორედ პრეზიდენტის პიროვნებაა უმთავრესი გარანტი იმ რეფორმებისა,

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ალექსანდრე ორბელიანი

# რუსების დასი ქართუელები ჩემზედ

მეექვსე გვერდიდან

დაარსდება რუსებისა აქა, მხოლოდ რუსებისა ენის სიტყუა.

ჩუენი თავიხომ ჩუენი თავი სატირელი მაქუს, აქაური სომხებიც შესაბრალისი იქნებიან, მაშინ როდესაც რომ იმათ ეტყვიან: ჩუენი რუსების ეკლესია მიიღეთო, ან არა და სადაც გინდა წადითო, რომლებმაცა ამის უბედურობა კიდეც გამოსცადეს, რუსებისაგან გარეკილობა ოსმალოში, საწყალთ ნახევარ მილიონამდისინ ჩერქეზ მაჰმადიანებმა. ამისთანა საქმეები რუსებისგან ადვილია, ამისთვის რომ იმათი მთავრობის მიმართულებითა ყუელგან რუსები უნდა იყვნენ და ან რუსებათ გადააქციონ სხუები.

თამამად ვიტყვი, თუ ამ ძლიერს მდგომარეობაში წავიდა რუსეთი, თუ ღვთის განგებულობა არა მოხდარა იმათზე, ბოლოდროს უთუოდ ეს ასე იქნება, რომ ყუელგან რუსები იქნებიან. ამის იმედის გამოისობით რომ ყუელგან რუსები უნდა იყვნენ, ამის გამო არა საშუალობის მოხმარებას არ ერიდებიან თავიანთის აზრის შესრულებისთვისა. არას საშუალობას რომ ვანბობ, აქ სუყველა წარმოიდგინთ თუალ წინ, კარგი და ავიც, სიტყუებით და საქმებითაც.

ამ მნიშვნელობაზედ ძალიან მიქცეული იყო ვარანცოვი, ასე რომ როდისაც ამბავი მოუვიდა; ფრანციამ და ანგლიამ ომი გამოუცხადეს რუსეთსაო, ვარანცოვი ავათ გახდა დიდის სისუსტითა: რუსეთს დაამდაბლებენო და დიდს მწუხარებაში შევიდა. (7)

ვარანცოვი რომ წავიდა რუსეთს, იმის მოადგილედ დროებითად, ღენერალი რიადი დააგდეს აქ, რომლისაცა იმის ავანჩავანი პლატონ იოსელიანი იყო (მე იმათიანები ადრე დამიწერია) და რაც შეეძლო ტორტმანებდა იმასთან, მაგრამ უვარანცოობა ძალიან დაეტყოთ ბევრსა.

მე მაშინ ასე მეგონა, რომ ესესარის ჩემზედ შემოჩენილს შპიონებს მოურჩიმეთქი, მაგრამ არა, მაინც კიდევ ჩუმათ მდევნიდნენ: რას ვლაპარაკობ და რას ამბებში ვარ. მაშინ ოსმალოს ომები რუსეთზე ძალიან გაცხარებულიც იყო. მე ის ამბები ჩემზედ სულ ვიცოდი, მაგრამ მეც ვფრთხილობდი რაც შემეძლო.

იმ ოსმალოს ომის სიცხარის დროს, ღენერალი მურავიოვი (8) გამოგზავნა აქ ნამესტნიკად ხელმწიფე ნიკალაი პავლოვიჩმა, სადაც ჯერეთ რომ არ მუსულიყო აქ ტფილისში, იმის წინაამდეგი ქართუელების დასი გაკეთდა და ძალიან ლანძღუა დაუწყეს, ასე უსიამოვნოთ მიიღეს იმის ნამესტნიკობა, იცოდნენ ვარანცოვის თავისუფალი ქცევა, ანუ ის კამედიის როლები აღარ იქნებოდა, რომლისაგან ტყუვდებოდნენ, ისე როგორც ზევით გვითქუამს. იმი მურავიოვს საუბედროთ ხელმწიფე ნიკალაი პავლოვიჩიც ჩქარა მოკვდა, რომელიცა იმის მემკვიდრე ალექსანდრე დაჯდა ხელმწიფეთა და ახლახომ სრულებითა ცხადათ გათამამდნენ ვარანცოვის დასი, მურავიოვის საძნებლად.

ის ძუელი ჩვენი მეფები და თვით მაშინდელი ქართუელები რუსეთისგან რომ ტყუვდებოდნენ, იმათ ის მიეტევებათ, ამიტომ რომ მაშინ ასეთი გულსიწრფელე დროები იყო საქართველოში, ისინი რომ მოტყუებულიყვნენ, დასაძრახი არ არიან, მაგრამ ეხლანდელს განათლებულს დროებში, დიდი საკიცხავი არის: ცუდსა და კარგსა ვერა ვხედავდეთ? –

როდისაც მურავიოვი (9) მოვიდა აქ, მაშინხომ რაღაც გაუგებელი განგაშა შეიქნა იმაზედ და განკიცხუა რამდენი რამ ტყუილები ცრუპენტელობა, სადათ მოკლეთ ვიტყვი იმის ამბავს აქა.

ის მურავიოვი სწორე და მართალი კაცი იყო, პირდაპირი, დაუფერებელი, ვისაც რას ეტყოდა, მართალს და არც ვისმე ატყუებდა. ყოველი რაც შექცევა იყო ვარანცოვის დროსა, – იმის დროსა სულ აღარაფერი. მაშინ ოსმალოს ამბებიც იყო, ის იმაში იყო გართული, მაგრამ თუ უნდა ის ამბებიც არ ყოფილიყო, მაინც იმის ხასიათი სრულიად მოშორებული იყო იმაებზედ. ის იყო მოსაქმე სახელმწიფო კაცი და არა ამაოების შექცევის მიმყოლი. ის იყო პატიოსნებისა და სიმართლის მოყუარული და არა მომტყუებელი.

ამის წამკითხუელმა იქნება თქუას: იმ მურავიოვის პოლკში, ის რომ იმსახურებდა, იმისთვის ისე კარგად გამოჰყავს თავის კამანდერი მურავიოვიო. არა, რაც ვარანცოვმა ჩუენ ორბელიანთ კარგი შეგვეძლვნა, ნამეტნავად ჩუენს ოჯახს, ვის შეეძლო ისა? – ჩუენი მამულები ოთხის ოჯახისთვის რომ გაგვიყო პლანით წერილებით, ჩემს ოჯახს ორმოცი ათასი მეტი დესეტინა მამული გვარგუნა წილით (ვისაც გნებავთ ის საქმე წაიკითხეთ და იმის პლანები ნახეთ რა შრომა არის), მაშინ როდესაც რომ სამიათასი დესეტინა მამული ჩუენს ოჯახს აღარ შჭერია ჩუენი მამაპაპებისა, ის მომატებულები სულ სხუა სახლთ ორბელიანებს მიმძლავრებული ჰქონდათ. ეს ბედნიერება შემოგვძლვნა ჩუენ ვარანცოვმა, მაგრამ ამის სარგებლობისათვისა ჩუენი ქუეყნის უბედურებაზე როგორ ვიდღესასწაულო და ტყუილი როგორა ვთქუა, რომ ვარანცოვის მართებლობა აქა ჩუენი დიდი ბედნიერება ყოფილიყოს? –

ვარანცოვმა ჩუენში რომ იმისთანა განცხრომები შემოიტანა, მურავიოვმაკი გაიტანა, ვარანცოვმა ჩუენ შეუძლებელს სახლებს იმ ჩუენის უზომოს ცხოვრებითა ვალებში რომ ჩაგვყარა, მურავიოვსკი ჩუენთვის ესენი არ უნდოდა. გაიგონეთ იმ მურავიოვის სიტყუა.

მურავიოვი თურმე ვიზიტათ მივიდა ღენერალმაიორ ჩემ დეიდაშვილს თავად გრიგოლ ბაგრატიონ–მუხრანსკისთან და სხუადასხვის ლაპარაკსა შორის მურავიოვმა შეწუხებით უთხრა. „კნიაზო გრიგოლ, მე ეხლანდელი თქუენი ქართუელები ველარ მიცვნია, ის თქუენი ძუელი პატიოსანი ქართუელების ხასიათი სრულად დაუკარგავთ. ეხლა დიდს განცხრომის ცხოვრებაში შესულან და ვალებში ჩაცვივნულან, ასე ჰგონიათ: განათლება ეს არისო. განათლება ეს არ არის. განათლება ის არის რომ თქვენი შვილები კარგს სასწავლებლებში გაიზარდნენ, მასუკან ისინი იპოვნიან განათლება რაც არის, თუ არადა იმისთანა განცხრომებით და იმთენის ვალების აღებითა დაიღუპებიან და შვილებისათვის აღარა ექნებათრა, რომ მასწავლებლებში გაიზარდნენ. აბა ის თქუენი მამაპაპების ტახტები კარგი საფენით დაფენილები, ის მშვიდობის მყოფლობის ცხოვრება რათ მოუსპიათ და ჩვენი ლირებულის მებილებით გაუწყვიათ ოთახები და ის უზომო ცხოვრება შემოუღიათ? – ესენი თქუენს დაღუპას მოასწავებს დაგარწმუნებთ“.

ესენი სულ ჩემა დეიდაშვილმა გრიგოლმა მიანბო, ის იმისი სიტყუა, არამც მარტო გრიგოლისთვის ეთქუას მურავიოვს ესა, ზოგიერთებისთვისაც ეთქუა, მაგრამ ეს იმისი სიტყუა ვარანცოვის დასსა შეატყობინეს, რომელზედაც აღაელავდნენ და უარესი ლანძღვა ასტეხეს იმაზედ და ლანძღასთან ესეც.

– „იმ სულელს და იმ ვირს მურავიოვს უნდა, რომ კიდევ ტახტები დავიდგათ და ჩუენში განათლებისა აღარა იყოსრა, სულ გაუნათლებელი სიბნელეში ვიყვნეთო“.

აი ბატონებო განათლება ეს ეგონათ იმათ.

ჯუზეპე გარიბალდი თავის სახლეულობითა თითქმის ქოხში რომ ცხოვრებს კუნძულს კაპრიელში, მაშ ისინი განათლებულები აღარ უნდა იყვნენ, რომლებმაცა თავიანთის ხელის მუშაკობით ააშენეს ის მდარე შენობა იმათ და ძალიან ზომიერი ცხოვრება აქვთ იქა? –

აი მურავიოვმა კიდევ რა კარგი საქმე ჰქმნა ქართუელებისათვის, მაგრამ კიდევ გონება დაგვიბრმავდა, როგორც თვითონ ქართუელი, ისე ნამდვილი ქართუელებისთვისა კეთილგამძრახველი დიმიტრი ყიფიანი თავის კანცელარიის გამგე თავად დააყენა (კანცელარიისკრავიტელად), იმის მართუელადა, თავის მხედველობის ქვეშე. ეს ის ნიშანი იყო მურავიოვისაგან; აი ქართუელები ასე მიყვარან, რომ ამისთანა ჩუენი დიდი კანცელარია ქართუელს ჩავაბარეო. სადაც ყოვლის მხრიდგან, სხუა საქმეებს გარდა, ყოველი საიდუმლოები იქ შედის და იქიდგანვე გადის. ეს იმისთანა ჩუენგნით მოულოდნელი და უფიქრელი ადგილი ქართუელს ჩააბარა, მაგრამ რა გითხრათ? – ასეთი ყიჟინა შეიქნა ვარანცოვის დასისაგან ყიფიანზე, რომ რაღა ვთქუა.

– „მურავიოვი ის ასეთი ის ისეთი, ის ყიფიანი იმისთანა იმ დიდს ადგილზე როგორ დააყენაო?“ და სხუანი.

ასე გეგონებოდათ: ერთი რაღაც უბედურება მოსვლიათო. ასე ღავლავებდნენ მურავიოვზედ და ყიფიანზედ ისინი.

ის იმათი ღავლავი იქამდისინ წავიდა, რომ პეტერბურღიდგან უარი მოუვიდა მურავიოვს იმის დანიშვნისა. მაინც კიდევ მეორეთ წარადგინა, ბოლოს მაინც სრულად დაითხოვეს ყიფიანი იქიდგან.

მე ხომ შპიონებისაგან ჩემი დევნა არ მკლებია, კიდევ ისე იდევნებოდნენ, მითამ ჩუმობით და დაფარვითა, მაგრამ კიდევ ისე ვიცოდი, ის იმათი დევნილება ჩემზედ, როგორც ადრე მატყობინებდნენ, მაგრამ სწორეთ უნდა ითქუას, თუმცა ის მურავიოვი რუსი იყო, რუსეთის ამაღლება იმის თავშიაც იყო, მარამ არც ქართუელების გაგლესა უნდოდა ქუეყანაზედ იმას – იმას უნდოდა რომ ქართუელებიც ყოფილიყვნენ ქუეყანაზე, ქართუელების სახელითვე. სადაც ამის გამოისობითა ვარანცოვის დასმა ქართუელებმა და იმათთან მიდგომილმა რუსებმა მურავიოვი აღარ მოასვენეს, ბოლოს იქამდისინ, რომ იმათ სადღესასწაულო–სასიხარულოთა მურავიოვი გამოცვალეს და ვინც უნდოდათ კნიაზ ბარატინსკი, ის დანიშნეს ნამესტნიკად აქა. სადაც კიდევ ისე გაიმართა თქართქარი და მხიარულებანი, როგორც ვარანცოვის წესი დებულება იყო, კიდევ იმგუარათა. მხოლოდ იმ ორს პირებში ეს იყო განსხუავება, რომ ბარატინსკი მედიდურად იქცეოდა, ვარანცოვი ქრისტეს სიმდაბლითა, მაგრამ ორივ გუატყუებდნენ: ბარატინსკი მედიდურობითა და ვარანცოვი ქრისტეს სიმდაბლითა. (10)

რაღა გავაგრძელო, ბარატინსკის დროსა კიდევ ის ამბები იყო ჩემზე, როგორც წარსულებში და ჩემიც ისეთი გაფრთხილება. ბოლოს ბარატინსკი რომ წავიდა, ჩემი დედიდაშვილისშვილი ღენერალ ადუტანტი თ.გრიგოლ ორბელიანი, ჩემი ერთი სახლისშვილი დააგდეს აქ, დროებით იმის მოადგილედ და მართავდა რაც შეეძლო, ესე იგი რუსეთისა ინტერესზედ.

ადრე ვარანცოვიდგან (11) მოკიდებული, ვიდრე ბარატინსკის წასვლამდისინ, თუმცა მაფრთხილებდნენ, მაგრამ მაინც კიდევ მოსვენებული არ ვიყავ: რა ვიცი არ დამიჭირონმეთქი? – ბევრჯველ ღამე ამ ფიქრში წავიდოდი ძილის დროსა და ამ ფიქრით გავათენებდი. ამისთვის რომ ჩემი თავისთვისკი არ ვშიშობდი – ვშიშობდი საქართუელოსთვისა, მზრუნველი აღარავინ აღარ იქნებოდა პატრიოტი და თუ იყვნენ ვინმე, ისინიც ჩემს უბედურებასთან გაჰქრებოდნენ, სადაც ამ გრიგოლის დროსა სრულიად მოვისვენე, ამიტომ რომ რაც უნდა ყოფილიყო ჩემი ახლო სისხლხორცი ნათესავი იყო და ნამდვილი ქართუელიც.

ესენი იყვნენ სამნი ძმანი ზურაბის (12) შვილები: გრიგოლ, ზაქარია და ილია. ამ სამთავ რუსების სამსახურს შესწირეს თავი. ზაქარია პოლკის კამანდერი თემურხანშურისაკენ იდგა პოლკით, იქ მოკვდა. ილიაც პოლკის კამანდერი იყო, ჯერ ბაშკადიკლარს ოსმალოს ომში დასჭრეს დ მასუკან იმ დაჭრილობით მოკვდა, სადაც ორნივ ესენი აქ ტფილისში მოასვენეს, ზაქარია ადრე, ილია შემდეგ იმ ომების დროსა და ქაშუეთის ეკლესიაში დაასაფლავეს, რომელიცა ბოლოს ეს გრიგოლ (13) ბევრის სამსახურებისა შემდგომ, აქ ტფილისში ღენერალღუბერნატორათ დასუა ბარატინსკიმ და კარგახანი მართავდა ამ თანამდებობას ველიკიკნიაზის მიხეილ ნიკალაიჩის დროშიაც.

ამ სამს ძმებში ეს განსხუავება იყო, რომ გრიგოლ მშვიდობისმყოფელი გაუბედავი კაცი იყო, ზაქარია ენერგიით სამსე, კეთილები იყვნენ, კარგი ქართველებიც და სამნივ პატივისმოყუარულები.

გრიგოლს თავის გაუბედაობით, მთავრობაზედ მაგდენი გავლენა არა ჰქონდარა, ზაქარია თავის პირდაპირის ენერგიის გამო აქ არ დააყენეს შურისკენ მისცეს პოლკი და ილია თავის ყიზილბაშურის ხასიათით, რასაც უნდა იმას არიგებდა ვარანცოვთან, ასეთი ძალა ჰქონდა იმაზედ.

კარგახანი რომ გავიდა გრიგოლ ორბელიანის მართუელობაში, მასუკან ხელმწიფის ალექსანდრეს ძმა მიხეილი დაგვინიშნეს ნამესტნიკათ აქა, სადაც მოვიდა, მაგრამ ჩემი გულის ჩასათუთქათ, ტფილისის ხალხმა დიდისყოფით მიიღო, უფრო პოლიცია ეშმაკობდა აქა, რომ დიდისყოფით მიეღოთ ის. მე იმის ასე მიღება ვერ მოვითმინე და ერთს ჩემს კარგს ნაცნობს უთხარ.

– „ამისთანა გაუგებლობა გაგონილა ხალხისაგან, რა ბედნიერება მოაქუს ჩუენთუის, რომ ამისთანა დღესასწაულობით დახვდა ხალხი და გარდა ამისა ფეხებზე ეჰვეცვნიან ველი კნიაზს?“

– უნდა იცოდეთ წუხელის რა ანბავი იყო? – პოლიციის კაცები დადიოდნენ ამ ქალაქის ამქრებში და ჩუმობით არიგებდნენ: ხვალ ველიკი კნიაზს უნდა მიეგებნეთ და ასე რიგათ უნდა მიიღოთ რომ ფეხები ულოკოთ და სხუანიო. თუ სხუა წარსული ნამესტნიკები იმ დიდის ყოფებით მიაღებინეს ხალხს პოლიციამ, ველიკი კნიაზისა აღარ უნდა გავიკვირვოთ. აი ასე ყუელაფერში სულ მთავრობა არის აქა ეს თქუენ ასე იცოდეთო“. იმან ასე მითხრა და ამ სიტყვით გამითავა, მაგრამ მეცკი ვიცი, რაც მთავრობა არის ჩვენთვის.

აბა რასაკვირველია, ველიკი კნიაზთან ხომ თავიანთი რეპუტაციის გასაკეთებლად, ჩემი ბევრი ორგულობა უთხრეს რუსეთისა და ამასთანავე ესეც თურმე დაუმატეს: სუსტი გონებისა არის, სულელიო. და სხუანი, რომელზედაც დღესაც ეს ანბავი ბეზღებაა ჩემზე და ეს ყოფა, მაგრამ რა თქნა, ვითმენ ამ ფიქრებით.

„ველიკი კნიაზი, იმისთანა დიდი კაცი, ჩემს უბედურობას არ მოინდომებს; თუ წარსულმა ნამესტნიკებმა მე არ გამიმეტეს, ეს ხომ ამისთანა დიდი კაცი რათ იკადრებსმეთქი“. ამ იმედის ნუგეშით ვიყავ და დღესაც ასე ვარ, მაგრამ მაინც კიდევ შიშისა ქუეშე ვიმყოფები და არც მოსვენებული ვარ, სადაც ბევრი ხალხი ქართუელები თუ სომხები გადგომილი არის ჩემგნით, სხუა და სხუა უცნაურის სიცრუისა ხმების დაყრით ჩემზედ და სხუა და სხუა სათაკილოს სახეს მაჩუენებენ, მითამ ჩემს შესაწუხად, მაგრამ ამაზედკი მე ჩემს გულში ბევრს ვიცინი ხოლმე იმათ ჩქარა აყოლილსა სიცრუებზედ.

ვაი თქუენი ბრალი უბედურო ქართუელებო, მე თქუენთვის ვარ და თქუენკი ეშმაკებისთვისა.

### შენიშვნები

*1. ამ მეიდანთან ჩუენი სახლი ახლოს იყო.*

*2. აქ ამ ქორწილში დაიძახეს: სახლი იწვისო, რომელიცა ხალხმა კინაღამ მე გამჭყლიტეს. ეს ამბავი სხუა წერილათ მაქუს დაწერილი, ესე იგი: ჩემი გამოცდილებანი.*

*3. უწინ იცოდნენ. ყოველს შეყრილობაში, ბევრნი თავის შვილებს ყმაწვილებსა თან წაიყუანდნენ ვინც კი მოინდომებდა: ყმაწვილი ხალხში რომ იქნება კარგს ისწავლისო.*

*4. მინამ დაგვიჭერდნენ, ერთის თვის წინათ გული მიგრძნობდა ჩუენ დაჭერას, ამიტომ ჩემი საიდუმლო ქაღალდები და ის ჩემი დაწერილი ძუელი ამბების სია ერთს ქილაში ჩავაწყე, ზევიდგან ერთი სალა სიპიქვა პირზედ დავადე; საკუჭნაოს კუთხეში მე და ჩუენმა გრიგოლა დიაკვანმა ორმო მოვთხარეთ. ის ქილა შიგ ჩავდგი და მიწით ამოამსე ამ სიტყვით: გრიგოლა დიაკვანო, შენ ჩემი სარწმუნო პირი ხარ და ჩუენი ყმაწვილკაცები, ვინიცობა არის, რა ვიცი, იქნებ დაგვიჭირონ, ეს ქილა მაშინვე ამოიღე და რაც ამაში ქაღალდები იყოს, საჩქაროთ დაწვი, მაგრამ გაუფრთხილდი დაწვისდროს არავინ განახოს. იმ ქილაში ჩემი მიწერილ წიგნის პასუხიც მქონდა ბიძაჩემის ბატონიშვილის ალექსანდრესი. ჩუენ რომ დაგვიჭირეს, გრიგოლსაც დიაკვანსაც ის ჩემი თქმული აღესრულებინა, ეხლა ის გრიგოლა დიაკვანი სვენაგეთის ღვდელი არის ალგეთზე. 2–ს მაისს 1868–სა წელსა ქტფილისს.*

*5. მაშინ ასე მითხრეს რომ ჩემი შამილთან მიწერმოწერა ივანე იოსებისძეს ყორღანოვს დაევბეზღებინო ვარანცოვთან, ის ყორღანოვი ჩემი კარგი მცნობი იყო. პირუელად ჩემი დაბეზღება მითამ იმისგან ყოფილიყოს.*

*6. იქნება მოვახერხო, ის ამბავი ავწერო.*

*7. ვარანცოვის მახლობლებისაგან გამიგონია, მითამ ვარანცოვი ლიბერალი ყოფილიყოს. ეს მართალი არ არის. მართალი ეს არის რომ თავის განძრახვების შესრულებისთვისა ლიბერალად ანუ სადაც რა უჯობდა, ისე აჩუენებდა თავსა, თორემ იმისი პირველი მნიშვნელობა ის იყო, რომ საქმით ძალიან მიკერძოებული იყო თავის მთავრობის აზრებზედ.*

*8. ადრე მურავიოვი იყო საქართუელოში, ერმალოვის და პასკევიჩის დროებში.*

*9. ის მურავიოვი კარაბინერის პოლკის კამანდერად რომ მოვიდა, მაშინ პოლკოვნიკი იყო და მე იმდროს კიდევ იქ ვიყავი პოლკში (აფიცრათ) პრაპორშიკათ და იმის დროს მე სამსახური დავტევე.*

*10. იმ ბარატინსკიმ ჩემი ძმისწული ლიზა რამთენის წუალებით თავის ქმარს, რუსეთის კარგს კეთილშობილს დაეიდოვს გააშვებინა და ბოლოს თვითონ იქორწინა იმაზედ. ის ანბავი ბევრი არის, მაგრამ მე იმათი მაგდენი არა ვიცირა, მხოლოდ ესკი ვთქვათ, რომ არა მგონი ლამაზი ის ლიზა ასეთი ღვთიური ქალია, რაც ბარატინსკიმა ჰქმნა იმის შერთუაზე, ის ბარატინსკი გასაკიცხი აღარ არის. იმისთანა დიდმა კაცმა როგორც ბარატინსკიმ, მგონია ლიზას სამ რასმე ვერ გაუძლო; იმის სრულს კეთილგონიერებასა, იმის ღვთიურს კეთილსგულსა და ამავებისგამო იმის ძლიერს სიყვარულსა? –*

*11. ადრე ვარანცოვთან მე რომ დამაბეზღეს შამილთან მიწერმოწერა აქესო. ის ცალკე მაქუს აღწერილი, სადაც ამ გრიგოლ ორბელიანის ძმის ილიას ამბებია იქა ვარანცოვის მახლობლისა.*

*12. ჩემი დეიდაშვილი ხორეშან ჰყუანდა ზურაბს ცოლათ.*

*13. ღენერალადუტანტი და ღენერალოტინფატერი შეიქნა*

ასე იხრწნებოდა თაობები!..

კოლიმას საბადოებზე (ციმბირში) ნამყოფი და სასწაულებრივად გადარჩენილი კატორღელის ნაამბობი: ვინც ვეღარ იტანდა 50 გრადუსიან ყინვას და სიარული და მუშაობა აღარ შეეძლო (ასეთები კი მუდამ ათასობით იყვნენ), მანქანებით გაჰყავდათ ზონიდან მოშორებით, ხვრეტდნენ, უზარმაზარ ორმოებში ყრიდნენ და გვამებს მიწას ჰაიჰარად აყრიდნენ. ერთმა ზედამხედველად დანიშნულმა პატიმარმა ითხოვა, ნება დაერთოთ თვალყური ედევნებინა, თუ როგორ მარხავდნენ სიკვდილმისჯილებს. დართეს ნება და ისიც წასულა იქ იმ განზრახვით, რომ ეპოვა თავისი ყოფილი მოსკოველი მასწავლებლის გვამი და ადამიანურად დაესაფლავებინა. უპოვნია კიდეც, რადგან, როგორც შეიტყო, სულ ბოლოს დახვრიტეს თურმე და გვამებს ზემოთ მოექცა. მაგრამ როცა თავისი საყვარელი მასწავლებლის პირჩამხობილი ცხედარი გადმოაბრუნა და დახედა, ზედამხედველი ელდანაცემივით ჩაკეცილა: მის ყოფილ მასწავლებელს გამოჭმული ჰქონდა თვალები და ამ საზარელმა სანახაობამ გონება დააკარგვინა. როცა მოსულიერდა, იქაურობის კარგად მცოდნემ მშვიდად აუხსნა: სიკვდილმისჯილ ადამიანებს მსუქანი ვირთხები, ორმოებში ათასობით რომ დაშლიგინობენ, ჯერ თვალებს გამოსჭამენ და მერე გვამებს მიადგებიანო...

ციმბირის კატორღებისთვის დამახასიათებელი იყო ასეთი საზარელი სურათიც: საშინელი, აუტანელი სიცივისგან გაყინულ ადამიანთა გვამებს ძელებივით კედლებზე მიაყუდებდნენ, იქვე სატვირთო მანქანებს ჩააყენებდნენ ცხედრების წასაღებად და ზონის გარეთ ორმოებში ჩასაყრელად,· მაგრამ ხშირად გვამები არ ეტეოდა ძარებზე, მანქანები ცოტა იყო და მანქანაზე დაყრილ გაყინულ გვამებს სქელი დაფისმაგვარი თუჯის სიბრტყით პრესავდნენ და ისმოდა ძვლების გულისწამღები ხრაშახრუში...

ვინ იყვნენ ის უბედური ადამიანები, მათ საფლავებს რომ დაეძებდა გულუბრყვილო ნათესაობა მოგვიანებით იქ? ღმერთმა იცის...

მსგავსი საშინელებების ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება...

ყველს კი კომუნისტები ორ მანეთად ჰყიდდნენ, როგორც ხშირად მესმის იმ რეჟიმის მონატრულთა მხრიდან...

ათეული მილიონობით უდანაშაულო ადამიანის მოსპობის შემდეგ კომუნისტებს სამოთხე რომ შეექმნათ, მადლი ექნებოდა? გამართლებული იქნებოდა ზღვა სისხლი? და შექმნეს სამოთხე კი არადა...

საგანგებოდ უნდა ითქვას შემდეგი: ფაშისტებსაც კი არასდროს საკუთარი ხალხი არ უჟლეტიათ! უდიდესი დანაშაული ჩაიდინეს მათ ებრაელი ერის მიმართ, საზარელი, ენით უთქმელი დანაშაული და ეს მთელმა მსოფლიომ იცის.

მაგრამ ფაშისტებს მასიური რეპრესიები გერმანელი ხალხის მიმართ არასოდეს დაუწყიათ!

ათეული მილიონობით საკუთარი ხალხი მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტებმა მოსპეს!

და ეს მსოფლიოში კი არა, ჩვენშიაც ბევრმა არ იცის დღესაც!

რა თქმა უნდა, ფაშისტები კაცობრიობის მტრები იყვნენ და ამას ისინი არც მალავდნენ. ისეთი ბრიყვული იდეოლოგია ჰქონდათ, რასაც რასიულ თეორიას უწოდებდნენ, რომლითაც თავიანთი ჭკუით, უფლება ეძლეოდათ დედამიწაზე მცხოვრები ყველა ხალხი მონებად ექციათ, რადგან მათი სისხლი არიული იყო და სხვა მსგავს სისულელეებს როშავდნენ. ყოველ შემთხვევაში, დაუფარავად ამბობდნენ, რომ მათ უნდა ებატონათ ყველა ხალხზე.

კაცობრიობის მტრები იყვნენ, ასევე კომუნისტები, მაგრამ შენიღბული და არა ფაშისტებივით აშკარა მტრები. ქადაგებდნენ მუდამ სიცრუეს, სხვა ხალხებს უჩიჩინებდნენ, რომ ყველანი ერთნი ვართ, ჩვენ ყველას თანაბარი უფლება გვაქვს და სხვა მსგავს სისულელეებს როშავდნენ.

როგორი მტერი ურჩევნია ადამიანს, ხალხს – ნიღბიანი თუ უნიღბო!

ყველა ჭკუათმყოფელი იტყვის, აბსოლუტურად ყველა, რომ – უნიღბო.

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №3,4

# ვინ მისტირის კომუნისტების რეჟიმს?!

## ლევან მალაზონია



ამ აზრით, კომუნისტებმა გაცილებით დიდი დანაშაული ჩაიდინეს კაცობრიობის წინაშე, ვიდრე ფაშისტებმა!

სურდათ თუ არა დედამიწის ხალხებს კერძო საკუთრების მოსპობა, ამას მარქსისტები არაფის ეკითხებოდნენ, პლანეტის გაწითლება კი გადაწყვეტილი ჰქონდათ. მსგავსი თავგასულობა, ალბათ, თემურ ლენგსაც გაუკვირდებოდა. ბნელი და კაცთმოძულე შოვინისტი რუსები ისე გათავხედდნენ, რომ განიზრახეს დიდი კულტურის მქონე ერებისთვის ესწავლებინათ, თუ როგორ ეცხოვრათ და ვინ ეღიარებინათ მარადიულ გენიოსად.

რისი იმედი ჰქონდათ შოვინისტ რუსებს?

მხოლოდ დემაგოგიის, ძალის, ათეული მილიონობით უდანაშაულო ხალხის პირუტყვული შრომით შექმნილი იარაღის. დემაგოგიისთვის რუსი შოვინისტები არ იშურებდნენ მილიარდებსაც – თავიანთი მიზნები რომ განეხორციელებინათ, ამისთვის შესაფერის საშუალებად მიაჩნდათ მარქსისტური კოსმოპოლიტური „იდეების“ ჯერ საკუთარ ნიადაგზე მორგება და შემდეგ, ვითომდა შემოქმედებითად გაღრმავებული თეორიის, ესე იგი, რუსიზმის (ანუ ეგრეთ წოდებული ლენინიზმის) ექსპანსია.

დრომ დაასამარა მათი საქმე (და არა ერთმა თუ ორმა პოლიტიკურმა ლიდერმა).

კომუნისტების წყალობით დავკარგეთ ის ისტორიული მისია, რომელსაც საქართველო, როგორც ხიდი, მუდამ ასრულებდა ევროპასა და აზიას შორის („დიდი აბრეშუმის გზა“ და სხვა). საქართველო, როგორც სახელმწიფო, გაქრა პოლიტიკური რუკიდან! გაქრა აბსოლუტურად! არავითარი უფლება მას არ გააჩნდა (ისევე, როგორც შოვინისტების მიერ სხვა დაპყრობილ კოლონიებს).

შვიდ ნოემბერს კი ვზეიმობდით!

25 თებერვალს ვზეიმობდით!

დამპყრობელთა დაბადების დღეებს ვზეიმობდით!

არ „იზეიმებდი“ და ხოცვა-ჟლეტა და მასიური რეპრესიები იმავე დღესვე დაიწყებოდა გაცილებით დიდი მასშტაბით (გავიხსენოთ 1924 წლის ამბოხება და ის უსაშინელესი სისხლისღვრა, რაც მაშინ ბოლშევიკებმა საქართველოში ჩაიდინეს).

ისე გაიდა მთელი XIX და XX საუკუნე, რომ ჩვენი არსებობა აგერ ახლახან თუ შეიტყვეს...

იდეალური სახელმწიფო არც ყოფილა, არც არსებობს და არც იარსებებს, ასეთი მოდელი განუხორციელებელია (უთვალავი მიზეზის გამო), მაგრამ იმას, რაც კომუნისტებმა შექმნეს, სახელს ვერ დაარქმევ, ახალი ცნებებია შესამუშავებელი, რომ მათი ნასიკეთარი ამომწურავად აღიწეროს (ის, რაც აქ ითქვა, წვეთია ოკეანეში).

დღეს რა უბედურებაც ხდება საქართველოში, კომუნისტების დანატოვარია.

დღეს პარპაშებენ ისინი, ან იმათი შვილები, იმ რეჟიმის დროს რომ იხრწნებოდა.

და დღეს ხშირად ამბობენ მაინც – წესრიგი ხომ იყო კომუნისტების დროსო.

რა თქმა უნდა, იქნებოდა!

წესრიგი იყო მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მთელ მოსახლეობას სიკვდილივით ეშინოდა განუსაზღვრელი ძალაუფლების მქონე დაუნდობელი ხელისუფლების. ქუჩაში კი არა, ქორწილში მაყრიონიდან ვინმეს რომ გაერისკა და ნებადართული სანადირო თოფი ესროლა, ხუთ წუთში „საქმის გამოსაძიებლად“ სუფრიდან გაიხმობდნენ თავაზიანად ოფიციალური პირები... გაიხმობდნენ იმის გამო კი არა, რომ მთავრობა შიშობდა, ვინმე არ დაშავებულიყო, არამედ იმიტომ, როგორ თუ გაბედე და პარტიის უნებართვოდ დამოუკიდებლობა გამოამჟღავნეო.

ადამიანის სურვილისამებრ გადადგმულ უბრალო ნაბიჯშიც კი დამოუკიდებლობას ხედავდა სამხედრო-ჩეკისტური რეჟიმი და ამას დაუნდობლად ებრძოდა.

კიდევ ერთი იმჟამინდელი ფაქტი: ჟურნალ-გაზეთების გამოწერის დრო რომ მოაწევდა, ყველა ვალდებული იყო გამოეწერა პარტიული გაზეთები. ოჯახში თუ ხუთი სული იყო და ხუთივე მსახურობდა, ხუთივე იწერდა „პრავდას“ იმის შიშით – ანტისაბჭოურობა არ დაგვწამონო და ოჯახი ღებულობდა 5 „პრავდას“. ვინ იქნებოდა ისეთი ბრიყვი, რომ უარი ეთქვა, რადგან იცოდა, რაც ელოდა.

ადამიანის ნებელობა აბსოლუტურად გამორიცხული იყო, აბსოლუტურად!

და იყო დიდი წესრიგი...

ახლა ისიც ვთქვათ, შესაძლებელია თუ არა საერთოდ მთელი ქვეყნის გაპარტიულება-გასაბჭოება.

ჩვენს ქვეყანას ხომ „საბჭოთა საქართველო“ უწოდეს. ჰო, მაგრამ, პარტიულები მოსახლეობის უმცირესობას არ წარმოადგენდნენ? უმრავლესობა ხომ უპარტიო იყო! მერედა, მაშინ, მთელი ქვეყანა კომუნისტურად რატომ უნდა მონათლულიყო! მარტო ამ ფაქტიდანაც ჩანს, რომ ბოლშევიკები არაფრად აგდებდნენ იმ უმრავლესობას, მათ კასტაში რომ არ ირიცხებოდა და „უპარტიოთა ბლოკი“ შეარქვეს.

და ბატონობდა უმცირესობა უმრავლესობაზე.

საგანგებოდ უნდა ითქვას ისიც, რომ კომუნისტებს სახელმწიფო არ ჰქონიათ! ერთი წუთითაც არ ჰქონიათ! რადგან, სახელმწიფოს არსებობა ნიშნავს მასში მცხოვრებ მოქალაქეს და მოქალაქე, როგორც ასეთი, კომუნისტური რეჟიმის დროს არ არსებობდა. კომუნისტებმა შექმნეს არა სახელმწიფო, არამედ რაღაცა ისეთი ატმოსფერო, რომელსაც სახელს ვერ დაარქმევ და რომელშიც ბატონობდა ყოველგვარი ადამიანური სიმახინჯე (მლიქვნელობა, დაუნდობლობა, ჯაშუშობა, მუცელღორობა, ღალატი, გონებაშეზღუდულობა...).

კომუნისტები იმითაც განსხვავდებოდნენ ადამიანებისაგან, რომ ისინი ერთმანეთსაც კი წამითაც არ ენდობოდნენ, ერთმანეთის ცხოველური შიში ჰქონდათ და ერთმანეთი ეზიზღებოდათ.

ამათ უნდა გაჰყოლოდა ხალხები?

ლენინი იყო მათში ბრძენიო, ხშირად მესმის ძველი კასტელებისგან.

მათ საპასუხოდ იქნებ ის გამოდგეს, რომ 2 საათიანი დოკუმენტური ფილმი შექმნეს მოსკოვში იმის შესახებ, თუ ვინ იყო, რა ჩაიდინა, ვის ემსახურებოდა და გასამრჯელოდ ვისგან, რომელ აივანზე ღებულობდა ფულს ულიანოვ-ლენინი სისტემატურად (ფული მოჰქონდა გამყიდველისთვის გვარად ვიღაც მალინოვსკის). ეს ფილმი იმის დამადასტურებელია, რომ ბნელ რუსეთში ნათელმა შეაღწია და ჩვენ რაღა უბედურება გვჭირს...

ლენინის მსგავსი პროვოკატორი, დემაგოგი, ჯალათი და კაცთმოძულე დედამიწაზე დღემდე არ დაბადებულა ჯერჯერობით (რამდენიმე რუსმა მწერალმაც შეიგნო ეს).

არა, მაინც გენიოსი იყოო, მითხრა ერთმა ძველმა პარტიულმა იმ ფილმის ნახვის შემდეგ.

რკინის ნერვებია საჭირო, რომ ესაუბრო სტაჟიან კომუნისტებს.

ზოგჯერ მე ისინი გულწრფელად მებრალებიან. მესმის, რომ არაა იოლი მთელი შენი შეგნებული ცხოვრება ემსახურო რაღაც იდეას და ბოლოს აღმოჩნდეს, რომ შენ ამით, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ბოროტებას სჩადიოდი და ეს აღიარო!

მაგრამ, ფაქტებს, არაადამიანურ, ბარბაროსულ, ჯოჯოხეთურ ფაქტებს თვალი როგორ უნდა დაუხუჭო, არ მესმის.

მინდა სტაჟიან პარტიულებს ასეთი შეკითხვა დავუსვა:

კომუნისტების რეჟიმს ყველა ხალხისთვის რომ სამოთხე შეექმნა, იქნებოდა თუ არა გამართლებული საბჭოური წყობის არსებობა იმ შემთხვევაში, თუ ამას 92 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირებოდა!

ამაზე ჭკუათმყოფელი არსება წამით დაფიქრდება? (სოლჟენიცინი ასახელებს 62 მილიონს, იმდენს, რამდენი საარქივო მასალის გაცნობა მოასწრო, მაგრამ, შემდეგ, კრემლის ერთ-ერთ რიგით სისხლისმსმელს – ხრუშჩოვს ამისი შეეშინდა და მწერალს აუკრძალეს საიდუმლო დოკუმენტების შესწავლა. ზოგი მკვლევარის აზრით, მოისპო 83 მილიონი ადამიანი, სხვები გაცილებით მეტს ასახელებენ. რა თქმა უნდა, იგულისხმება როგორც რეპრესირებული და კატორღებში დაღუპული ადამიანები, ასევე ადგილებზე დახვრეტილები).

ასე იყო საჭიროო, – იტყვის დღეს ბევრი! საუბედუროდ ბევრი!

70 წლის განმავლობაში გულის ამრევი ხელქვეითობის ქვეშ ცხოვრობდნენ ერები!

ბოლოს, როცა ნიადაგი გამოეცალათ და წავიდნენ კომუნისტები, დატოვეს სულიან-ხორციანად გახრწნილი, გადაგვარებული, გაპირუტყვებული ადამიანი.

ის კი, რაც მათ ჩაიდინეს, შერჩათ!

ფაშისტებმა რაც დაიმსახურეს, მიუზღეს (მარტო ნიურნბერგის პროცესი რად ღირს)!

კომუნისტებს კი ყველაფერი შერჩათ! ზღვა კი არა, ოკეანე სისხლი შერჩათ!

ელემენტარული ჭეშმარიტებაა: ყოველი ადამიანი, დიდი იქნება ის თუ პატარა, თავის ერს უნდა ემსახუროს ისე, როგორც შეუძლია. სტალინს მის სიცოცხლეში ღმერთად მიიჩნევდნენ. როცა გარდაიცვალა, „თანამებრძოლებმა“ საფლავში ჩააფურთხეს და ამის წინააღმდეგ, როცა ყრილობამ პიროვნების კულტი დაგმო, ათეულ მილიონობით პარტიულში ერთ კომუნისტსაც კრინტი არ დაუძრავს, ერთადერთსაც კი! ამითაც ის დასტურდება, რომ ლენინმა პარტია კი არა, კასტის მსგავსი გაერთიანება შექმნა, რომლის სათავეში ვინც მოექცეოდა და რასაც იტყოდა, თუთიყუშივით იმასვე იმეორებდა უკლებლივ ყველა, თუ არ ვცდები, ოც მილიონამდე წევრი. საფლავში ჩაფურთხება, უპირველეს ყოვლისა, ლენინს ეკუთვნოდა, მაგრამ ეს არ გააკეთეს, რადგან მას რუსად თვლიდნენ (სინამდვილეში ყალმუხის, თათრის და ებრაელის ნაჯვარი იყო). სტალინი კი, ჩვენდა საუბედუროდ, ქართველი იყო და ამიტომაც არ აპატიეს ის სახელი, რაც მას ჰქონდა. იმავე მიზეზით ამოთხარეს საფლავიდან რუსმა შოვინისტებმა თითქმის ასოცი წლის შემდეგ პეტრე ბაგრატიონის ძვლები, ზედ შედგნენ და აბურთავეს! ასეთ საზიზღრობას წარმართებიც არ სჩადიოდნენ... ვახუშტი ბაგრატიონმა პირველი უნივერსიტეტი დაუარსა რუსებს მოსკოვში. ახსენებს დღეს ვინმე იქ მას?

სტალინმა გუთნის რუსეთი ატომურ რუსეთად აქციაო, – ხშირად ამბობენ „ძველებიც“ და „ახლებიც“. ჯერ ერთი, ამით საქართველოს რა შეემატა?! ჩვენ ხომ იმისდა მიხედვით უნდა ვაფასებდეთ ამა თუ იმ პიროვნების ნამოღვაწარს, თუ რას შესძენს იგი ქვეყანას. სტალინმა კი საქართველოს „საჩუქრად“ დაუტოვა სამი დაყოვნებადი მოქმედების ბომბი სამი ავტონომიის სახით აჭარასა, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში... ისიც ცნობილია, რომ ოციან წლებში თბილისი საქართველოს დედაქალაქად არ ემეტებოდა, იმ მოტივით, რომ ქალაქში იმხანად სხვა ეროვნების ხალხი ჭარბობდა ქართველობას. დედაქალაქს თუ დავკარგავდით, ეს იქნებოდა, კომუნისტების აზრით, ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმი. შემდეგ, გუთნიან რუსეთს იმდენი პური ჰქონდა, რომ ხორბლით უზარმაზარ კონტინენტს ამარაგებდა. დღეს კი სად არ ყიდულობს, ღმერთმა იცის და კომუნისტების დროსაც არ ჰქონდა სამყოფად რუსეთს პური. გარდა ამისა, გუთნიანი რუსეთის დროს „ჩერვონეცი“ ყველაზე ძლიერი ვალუტა იყო მთელ ევროპაში! საბჭოთა ასმანეთიანი რომ ამოგეღო ჯიბიდან ნებისმიერ „კაპიტალისტურ ქვეყანაში“, თავზე გადაგახევდნენ. რაც მთავარია, გუთნიანი რუსეთის დროს მუჟიკის, ბრწყინვალე ინტელიგენციისა და სარწმუნოების წყალობით რუსეთი სულიერად იყო ძლიერი, კომუნისტების ხელში კი – დაკარგა საკუთარი იერ-სახე თავისი აუ-კარგით, თავისი განუმეორებლობით, გაქრა მუჟიკური ნამდვილი რუსეთი და გაჩნდა ყალბი „სოციალისტური“ რუსეთი, რომელსაც ადრე თუ გვიან სამარე ელოდა, რადგან ყოვლად წარმოუდგენელია რუსეთისა და სოციალიზმის ურთიერთშერწყმა, ან თუ გნებავთ, რუსეთისა და დემოკრატიის ურთიერთშერწყმა. დოსტოევსკიმ პეტრე დიდს ვერ აპატია ის, რომ მან რუსეთის გაევროპიულება მოინდომა და ამით რუსეთს საკუთარი იერი დააკარგვინა. ლევ ტოლსტოი წინააღმდეგი იყო დასავლური სწავლა-აღზრდის და საერთოდ კულტურის.

რამდენჯერ უნდა დაგვანახოს დრომ, ყველაფრის მარადიულმა საზომმა და შემფასებელმა, თუ რა არის დღიდან მისი გაჩენისა ოფიციალური რუსეთი საქართველოსთვის და მსოფლიოსთვის!

„ერთმორწმუნე“ ქვეყანა მთელი ორასი წლის განმავლობაში ჩვენს ამოძირკვას ლამობდა სხვა ხალხების (განსაკუთრებით სომხების) აქ დასახლებით და ათასგვარი სხვა საშუალებით (არცერთი მტერი არ შემოსულა საქართველოში ისეთი მძვინვარე ზიზღით, როგორც რუსეთი შემოვიდა“, ეს ივანე ჯავახიშვილის სიტყვებია და ამას ამბობს ჩვენი უდიდესი ერისკაცი ეგრეთ წოდებულ ერთმორწმუნე ქვეყანაზე).

რუსეთს დღესაც შოვინისტები მართავენ. ასე იყო ადრე და ასე იქნება მომავალშიც. ვერასოდეს უბრალო კეთილი რუსი მმართველობის სადავეებს ხელში ვერ ჩაიგდებს (რაზედაც ოცნებობდა ბერდიაევი) და თუ

გაგრძელება მე-12 გვერდზე

# რას წერენ საქართველოს მტრები საქართველოზე?

## თანამედროვე აფხაზეთი

აფხაზეთი ბოლშევიკური სახელმწიფოს ნაწილი გახდა – სრული საბჭოთა რესპუბლიკა, მაგრამ, როგორც ლაკობა ადგენს: „1921 წლის დეკემბერში სტალინის, ორჯონიკიძისა და სხვათა ძლიერი ზეწოლის ქვეშ აფხაზეთი იძულებული შეიქნა დაედო საქართველოსთან „საგანგებო ხელშეკრულება“ (საქართველოს 1922 წლის კონსტიტუცია), რატიფიცირებული 1922 წლის თებერვალში, რომელმაც დაადგინა ორი რესპუბლიკის თანაბარი სტატუსი. აფხაზეთსა და საქართველოს შორის სახელმწიფოებრივმა ურთიერთობამ ასახვა ჰპოვა აფხაზეთის სსრ-ს 1925 წლის კონსტიტუციასა და საქართველოს სსრ-ს 1927 წლის კონსტიტუციაში, რომელშიც ხაზგასმულია, რომ საქართველოს სსრ არის ფედერაციულ პრინციპზე აგებული სახელმწიფო. აფხაზეთის საბოლოო დაკნინება, რაც საქართველოს შემადგენლობაში უბრალო ავტონომიამდე ჩამოქვეითებაში გამოიხატა, ლაკობას ასე აქვს აღწერილი:

„სტალინმა, თუმც აფხაზეთის ლიდერ ნ.ლაკობასთან მეგობრობდა, მოითხოვა მისგან 1930–31 წლების კოლექტივიზაციის გატარება მიუხედავად „აფხაზური ცხოვრების წესის განსაკუთრებულობისა“. რადგან ხალხისა და სახელმწიფოს ბედზე იყო პასუხისმგებელი, ნესტორს არ შეეძლო არ გაეთვალა, რას მოიტანდა კოლექტივიზაცია. სტალინმა, ვინც ერთპიროვნულ ბატონად იქცა კრემლში, გასაგები გახადა, რომ ერთი პირობით აიღებდა ხელს თავის მოთხოვნაზე აფხაზეთში. სახელდობრ, თუ „სახელშეკრულებო რესპუბლიკა“ აფხაზეთი შევიდოდა საქართველოს შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ნაწილი... ლაკობა იძულებული შეიქნა დათანხმებოდა საქართველოში შესვლას, რადგან ამაში ორი ბოროტებიდან ნაკლებს ხედავდა. რაც სტალინმა კოლექტივიზაციით მოიგო, საყოველთაოდაა ცნობილი. რუსეთის გლეხობა განადგურდა. რა შედეგი ექნებოდა ამას პატარა გლეხური ქვეყნის, აფხაზეთისათვის; ნახევარ მოსახლეობას ციმბირში გადაასახლებდნენ, მეორე ნახევარი კი უბრალოდ განადგურდებოდა“.

ასე რომ, „ორ მეგობარ ხალხს შორის „ორმხრივი თანხმობა“ დამყარდა“ – ვინმემ შეიძლება ამოიკითხოს ტიპიური საბჭოთა ფორმულაა, სხვამ კი ასევე ეჭვქვეშ დააყენოს მომხდარის ნამდვილი მიზეზები.

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №4

მოკავშირე რესპუბლიკის უფლების არმქონე უმცირესობებისათვის მთელს ყოფილ საბჭოთა კავშირში ტრაგედია იყო ა.სახაროვის გარდაცვალება, რადგან მისი წასვლის შემდეგ აღარავინ დარჩა, ვინც ილაპარაკებდა დაჩაგრული უმცირესობებისათვის და ყურადღებას მოითხოვდა დასავლელი პოლიტიკოსებისაგან, რომლებიც მოტყუებულნი იყვნენ ისეთი საეჭვო ფიგურებისგან, როგორებიც შევარდნაძე და ელცინი არიან, – რა ოსტატური დარტყმა იყო გორბაჩოვის მიმართ 1985 წელს საგარეო საქმეთა მინისტრად სრულიად უცნობი შევარდნაძის დანიშვნა, რამაც მოგვიანებით დამაჯერებელი ტყუილის შეუდარებელი შედეგი გამოიღო. ამას გარდა გორბაჩოვის მიზანი იყო აერია ვითარება სსრკ-ს არარუსულ რესპუბლიკებში და ამით წინასწარ მოემზადებინა გამართლება ცენტრალური ხელისუფლებისათვის, როცა მათ კრემლს დაუმორჩილებდა, კავშირის ფარგლებში ავტონომიური ფორმირებების სრული რესპუბლიკის სტატუსამდე ამაღლებით გორბაჩოვი ცდილობდა, არსებითად, შეესრულებინა სახაროვის რჩევა, გაეთანაბრებინათ სხვადასხვა ხალხთა უფლებანი, ამრიგად, მოესპოთ კავშირის „პატარა იმპერიების“ მიერ დაჩაგრული ეთნიკური ჯგუფებისადმი მიმართული საფრთხე, „პატარა იმპერიებისა“, რომელთა შორის საქართველო აშკარად ერთ-ერთი იყო. სრულიად არასწორი გახლდათ იმ დროის საქართველოს ხელმძღვანელობის მხრიდან ამ რეფორმებისთვის ისეთი ეფექტის მინიჭება, რომ აფხაზები (და სამხრეთ ოსები) შეაშფოთა მათი მომავლის გამო შესაძლო დამოუკიდებელ საქართველოში, სადაც აგორდა არატოლერანტული ისტერია ყველა მისი უმცირესობის წინააღმდეგ ისეთი აჯანყებული ნაციონალისტების მეთაურობით, როგორებიც იყვნენ ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და გიორგი ჭანტურია (ახლა ყველა გარდაცვლილია!), მათი გაუთავებელი ყვირილით „საქართველო ქართველებისათვის“ და საქართველოს კულტურული და გენეტიკური გამორჩეულობის სახიფათო მოთხოვნებით. ვიდრე კრემლის ძალები შეძლებენ კარგად გაეგოთ გემო საქართველოს ამ გიჟური პოლიტიკის შედეგად გარდუვალი არასტაბილურობის პერსპექტივისათვის, (რასაც მხარს უჭერდა ბევრი (ფსევდო) მეცნიერი, განსაკუთრებით ისტორიის და ფილოლოგიის სფეროში, რომლებიც ნაციონალისტურ ტალღას გაჰყვნენ), არ არის აუცილებლობა გავიხედოთ საქართველოს საზღვრებს გარეთ, რათა ვიპოვოთ მიზეზი მომავალი ომებისათვის სამხრეთ ოსეთში (გამსახურდიას ომი) და აფხაზეთში (შევარდნაძის მოდელი მისი მეგობარ თანაპარტიელის, ელცინის სიკვდილისმთესველი სისულელისათვის ჩეჩნეთში). ქართული სტატიის ავტორები ცდილობენ გამიჯნონ თავიანთი ამჟამინდელი ლიდერები იმ მხეცობისაგან, რაც ახასიათებდა გამსახურდიას რეჟიმს. სამწუხაროდ, არაქართულ უმცირესობებთან მიმართებაში შევარდნაძე უბრალოდ აგრძელებს თავისი (არაკანონიერად გადაყენებული) წინამორბედის პოლიტიკას.

„სოხუმის მონოეთნიკური მაღალი კლასის“ „ძალა და პრივილეგია“ თუ ამ გამონათქვამში არის ჭეშმარიტების მარცვალი, ნიმუშია ძველი თბილისის ჩარევისა აფხაზეთის კომუნისტურ ხელმძღვანელობაში. ისინი ვინც წამყვანი პოზიციები დაიჭირა აფხაზეთის საჭიროებათა განხილვისას მოსკოვის მიერ ძალების დაკარგვის ჟამს, გამოსული იყვნენ ინტელექტუალებიდან (მწერლები და აკადემიკოსები), რომლებიც სრულიად გამოხატავდნენ ხალხის ნებას, თავდაპირველად „აიდგილარაში“ („ერთობა“), აფხაზეთის ეროვნული ფორუმი და შემდეგ ვ.არძინბას პოლიტიკური ლიდერობით, პიტოლოგისტისა, ვინც აფხაზეთის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი გახლდათ და კავშირში მოვიდა თავისი მეტყველების (საუკეთესო რუსულით) გამო გორბაჩოვის სახალხო დეპუტატების სესიების სატელევიზიო გადმოცემებში, სადაც იცავდა საბჭოთა უმცირესობებს.

ამასთან, როგორც იმ დროის თავდაცვის მინისტრი თ.კიტოვანი ღიად მიიჩნევდა დასაშვებად სამხედრო ძალების შესვლას აფხაზეთში არძინბას მთავრობის დამხობის მიზნით, განა ამან არ აიძულა აფხაზები ხელში აეღოთ იარაღი თავდასაცავად ასეთი აგრესიისაგან? და ეს ის არის, რასაც შევარდნაძე ყველა ინტერნაციონალური პლატფორმიდან, სადაც კი შესთავაზებენ გამოსვლას, „აგრესიულ სეპარატიზმს“ ეძახის. ბუნებრივია, რომ აფხაზეთს ყველანაირად დაეხმარნენ მოძმე ჩრდილო კავკასიელები (ჩრდილო კავკასია რუსეთის ნაწილია). საქართველოს მიერ ომის წაგებამ, რუსეთის ჩარევას რომ მიაწერეს, ეს ამრუდებს ფაქტებს, რათა შენიღბოს ის სირცხვილი, რაც ქართულმა მხარემ ნახა არადისციპლინირებული ბრბოს დაბალი ხარისხის ბრძოლების გამოისობით.

ის, რასაც მოითხოვს კავკასია, მნიშვნელოვანია იმ უთვალავი ადამიანის უფლებებისთვის, რომელიც ცოცხლობს, როგორ კონსტიტუციურ სისტემაშიც უნდა იყვნენ. უბრალოდ აიძულო აფხაზეთი არაშორსმხედველი ინტერნაციონალური პრესით, მორცხვად დაუბრუნდნენ სტატუს კვო ანტე ბელუმს (status quo ante bellum) ვერც პრობლემას მოაგვარებს, ვერც რუსეთის სამხრეთის საზღვრებზე ერთიანი, ძლიერი, ჩრდილო მეზობლებისადმი ლოიალური ქვეყნის დაფუძნებას – ეს ფაქტია იდეა, რომ ქართველები ოდესმე ხილულ მომავალში, შექმნიან ქვეყანას – „ლოიალურს“ მათი ჩრდილო მეზობლებისადმი, სიცილს მოჰგვრის ყველას, ვინც იქ ყოფილა. თუ აფხაზეთის პრობლემა შეფასდება ორივე მხარის მისწრაფებად კონფლიქტისკენ, მაშინ მთელი კავკასიის უწესრიგობა გარდუვალი იქნება მანამ, სანამ რეზოლუციას არ მიიღებენ. ეს არ არის „სეპარატიზმი და ტერორიზმი“, რომლებიც დესტაბილიზაციის „ძირითადი ფაქტორებია პოსტსაბჭოთა არეალში“, არამედ აგრესიული ტერიტორიული გაერთიანება ისეთი ახალი პატარა „ცარებისა“, როგორებიც არიან ელცინი (ჩეჩნეთი) და შევარდნაძე (აფხაზეთი).

დასავლეთს წილი უდევს პასუხისმგებლობაში იმ სასაკლაოსათვის, რაც გაჩაღდა ჩეჩნეთსა და აფხაზეთში, მისი კოლექტიური და წინასწარგანზრახული სიჩუმის მიზეზით, იმ მოვლენებზე, რაც მოხდა ამ ორ კავკასიურ ქვეყანაში თბილისელი და მოსკოველი „დემოკრატიულად მოაზროვნე“ მეგობრების გამო. დაახლოებით 100.000-ზე მეტი კაცი დაიღუპა ჩეჩნეთში და 100000-ზე ბევრად მეტი აფხაზეთში. ჩეჩნეთში ელცინის მხურვალე მხარდამჭერი შევარდნაძე ჩეჩნეთის ომისას პარალელებს სახავდა აფხაზეთში თავის სიძნელეებსა და მისი კოლეგის პატარა ადგილობრივ გართულებებს შორის. გენ.ლებედის ჩარევით მოსკოვი თავისივე წაგებული ომიდან სამშვიდობო ხელშეკრულებით გამოვიდა. უცებ პარალელები გაქრა, შევარდნაძისთვის მიუღებელია ხელი მოაწეროს რაიმე მსგავსს არძინბასთან, რომელიც მზადაა ეს მოიმოქმედოს. მართლაც ამ წუთისათვის არის შესაძლებლობა, რომ სამშვიდობო ძალები გაყვანილნი იქნებიან მდ.ენგურიდან სამხედრო მოქმედებათა განახლების საშიშროების გამო. საქართველოს დამარცხება ორმაგია (იხ.თბილისი და მოსკოვი)? თუ ეს არის უფრო სერიოზული (და იმავ დროს საეჭვო) ცოდვა გულგრილობისა მათი არსებობის მიმართ საფრთხის შექმნისა, რასაც აფხაზები ხედავენ დუმილით გენოციდისთვის მხარდაჭერაში?

### აფხაზური მშვიდობის ძალები ესაუბრებიან საქართველოს

აფხაზეთს სურს სამშვიდობო რეზოლუცია საქართველოსთან. მნიშვნელოვანია, რომ მშვიდობა და სტაბილურობა დაბრუნდეს მთელს კავკასიაში. კავკასია უნდა გახდეს ძლიერი, დამოუკიდებელი რეგიონი, სადაც თითოეულმა ქვეყანამ უნდა ერთად შეინარჩუნოს მშვიდობა. და წესრიგი, ერთობლივად ააშენონ ეკონომიკური ხიდები, რათა 21-ე საუკუნეში ძლიერნი შევიდნენ. საქართველოს, აფხაზეთისა და კავკასიის სხვა რეგიონების მსგავსად, აქვს ვეებერთელა ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური და სტრატეგიული ენერგია. ყველა ქვეყანამ თავისი უნდა გაიტანოს, როცა ამყარებს ეკონომიკურ ურთიერთობებს დასავლეთთან, რუსეთთან და ახლო აღმოსავლეთთან. საქართველო ვერ შეძლებს განახორციელოს თავისი ენერგია, თუ ეს კონფლიქტი გაგრძელდება. მანამდე გამოვთქვამთ შემდეგ ფორმულირებას:

პირველი: აფხაზეთის ანექსია განხორციელდა სტალინის, საქართველოს შვილის, კალმის ერთი მოსმით 1921 წელს. ეს უფრო უკანონო და არალეგიტიმური იყო, ვიდრე ახლა.

მეორე: აფხაზეთმა გადაიხადა გამათავისუფლებელი ომი საქართველოს აგრესიის წინამდეგ. ეს არ ყოფილა სამოქალაქო ომი. აფხაზეთმა გადაადგო ბოლშევიზმისა და საქართველოს მბრძანებლობის უღელი.

მესამე: დღესდღეობით აფხაზეთი შეიძლება პოლიტიკურად იზოლირებული შეიქნეს, რაც ნებადართული იქნება გაეროს მიერ, არც ცნობენ, მაგრამ მისი ხალხი ამ საუკუნეში პირველადაა თავისუფალი. მშვიდობაა მისი ხალხის უძვირფასესი უფლება და ის არ აპირებს ივაჭროს პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე. ჩვენი თვითგამორკვევის უფლება ისეთივე უფლებაა, რომელიც გამოიყენა ბევრმა ხალხმა, მათ შორის შეერთებულმა შტატებმა დამოუკიდებლობის ძიების დროს.

მეოთხე: თუ საქართველო ცნობს აფხაზეთის კანონიერ მოთხოვნას თავის ტერიტორიასა და სუვერენიტეტზე, მაშინ საქართველო საბოლოოდ შეძლებს წინ წასწიოს ეკონომიკური და პოლიტიკური კეთილდღეობა, რაც უფრო გაგრძელდება დაძაბულობა, მით უფრო ხანგრძლივად შეეშლება ხელი საქართველოს თავისი ენერგიის გამჟღავნებაში 21-ე საუკუნეში.

მეხუთე: საბჭოთა იმპერიის დაშლას 70 წელი დასჭირდა, ჩვენ არ გვსურს ვიხილოთ საქართველოს მცირე იმპერიის გაჩენა იგი მხოლოდ იმეორებს იმავე შეცდომებს, რასაც საბჭოთა იმპერია. საქართველოს მცირე იმპერია კავკასიაში არახელსაყრელია. თუ ჩვენ ყველა ერთად ვიშრომებთ, როგორც ცალკე ქვეყნები, რომლებიც პატივს სცემენ ერთმანეთის ტერიტორიას და სუვერენიტეტს, შევძლებთ წინ წავიწიოთ კეთილდღეობის და მშვიდობის გზაზე. ეს, თავის მხრივ, დაეხმარება კავკასიის ყველა ერსა და რეგიონს, ისევე, როგორც რუსეთსა და დასავლეთს.

მეექვსე: აფხაზეთს აქვს თავისი კონსტიტუცია, მთავრობა, საბაჟო და კანონები, რომლებიც არ ჰგავს ქართულს. ჩვენ არ ვართ და არც ვყოფილვართ ქართველები. ჩვენი ამასწინანდელი არჩევნები ინტერნაციონალურმა დამკვირდებლებმა შეაფასეს როგორც დემოკრატიული მაგალითი და მოდელი სხვა ერები მისაბაძად.

მეშვიდე: დევნილთა დაბრუნება სარისკოა აფხაზეთის სამოქალაქო მოსახლეობის არაჰუმანური სანქციების და ქართული საიდუმლო პოლიციის სამხედრო აქტივობის გამო გალის რეგიონში აფხაზურ-ქართულ საზღვარზე. ეს გამოსავალი უნდა განვიხილოთ.

მერვე: გამოსავალი იქნება, თუ ქართველ დევნილთა დაბრუნებისათვის საქართველო იკისრებს გადაიხადოს ანაზღაურება იმ ეკონომიკური დანაკარგებისათვის, რაც მისმა ძალებმა მიაყენა აფხაზეთს. ის ქართველი დევნილები, რომლებიც მოისურვებენ აფხაზეთში დაბრუნებას, უნდა დაემორჩილონ აფხაზურ კანონებსა და კონსტიტუციას.

მეცხრე: აფხაზეთს აქვს ეკონომიკური აღორძინების მრავალი პროექტი, რომლებიც 1997 წლიდან უნდა ამოქმედდეს. იმედი გვაქვს, რომ საქართველოსა და აფხაზეთს შეუძლიათ გაიყონ ორმხრივ სასარგებლო და საერთო ეკონომიკური საკითხები. ამისათვის უნდა მივიღოთ პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელსაც ორივე მხარე აღიარებს. საქართველოს აკვიატებული იდეა, დაიბრუნოს აფხაზეთი, ყველას დიდ ზარალს მოუტანს, განსაკუთრებით საქართველოს.

მეათე: აფხაზეთი პატივს სცემს თავის მრავალეროვან საზოგადოებას, მაგრამ უნდა გაეგოთ, რომ აფხაზეთი ადგილობრივი აფხაზი ხალხის მამულია. ყველა აფხაზს, რომელიც დაზარალდა წარსულის უსამართლობით და გაიფანტნენ მთელს მსოფლიოში ერთი საუკუნის წინათ, უფლება აქვს დაუბრუნდეს წინაპართა მიწას.

რეალობა ის არის, რომ აფხაზეთმა უნდა დაიცვას და საქართველომ უნდა ცნოს რეალობა, რომ არავითარი უკან დაბრუნება არ მოხდება. აფხაზეთს სურს მშვიდობა ორ ხალხს შორის, დაფუძნებული პატივისცემაზე, სამართლიანობასა და თანასწორობაზე. უსამართლო მშვიდობა მშვიდობა არ არის.

**დოქტ. იანალ კაზანი**

*აფხაზეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი შეერთებულ შტატებში*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს განთავისუფლება სიცრუით ცხოვრებაზე უარის თქმაშია



მეშვიდე გვერდიდან

რომელმაც ისეთ სახელმწიფომდე უნდა მიგვიყვანოს, სადაც პიროვნებაზე, თუნდაც პრეზიდენტის პიროვნებაზე მაღლა კანონი დადგება, ისევე როგორც ეს თავის დროზე მიზნად დაისახეს ამერიკის დამფუძნებელმა მამებმა.

პიროვნების მმართველობას შეცვლის კანონების მმართველობა, როგორც გრძელვადიანი სტაბილურობის უმთავრესი გარანტია. როგორ იქმნება და როგორ უნდა იქმნებოდეს ახალი ქართული კანონმდებლობა. ამ საკითხზე ჯერ კიდევ ორ საუკუნეზე მეტი ხნის წინ ჩამოაყალიბა მწყობრი კონცეფცია ალექსანდრე ამილახვარმა. მისი აზრით, კანონმდებლობა უნდა მისდევდეს შემდეგ პრინციპებს. პირველი – ეს არის დროის შესაბამისობა – მდგრადობა ჟამისა, მეორე – ეს არის ზნეჩვეულება ერისა. ამ პირობების გათვალისწინების გარეშე შემუშავებული სამართალი, მორჩილების ნაცვლად, ერს ურჩობამდე და შფოთვამდე მიიყვანს, რაც არ უნდა კარგი ჩვევების ერი იყოს იგი.

კანონი ყველა საჭირო მუხლს უნდა შეიცავდეს. არც სასურველია და არც სასარგებლო, რომ ერთხელ მიღებული კანონი ხშირად იცვლებოდეს. თანამედროვე კანონმდებელი შეძლებისდაგვარად მისდევს ამ კონცეფციას, რომელშიც ჩემთვის პირადად ყველაზე მთავარი ის არის, რომ ნებისმიერი კანონი უნდა ასახავდეს ეროვნულ თვითმყოფადობას. კანონი პირველ რიგში ერის ნიჭიერების გამოხატულებაა ქაღალდზე. მეორეს მხრივ, შეუძლებელია არ აღიარო ის ფასეულობები, რომლებიც ცივილიზებული მსოფლიოსათვის საერთო ფასეულობებს წარმოადგენს. ჩვენ ხანდახან გვსაყვედურობენ, რომ მეტისმეტად გატაცებული ვართ უცხოურით და ვივიწყებთ ქართულ იურიდიულ აზრს. საქართველოში მართლაც არსებობს დამოუკიდებელი იურიდიული აზროვნების სკოლა, არსებობს პოლიტიკური შეკვეთა. ამ სისტემაში სამართლებრივი მექანიზმების დანერგვა დღევანდელი დღის ყველაზე საშური ამოცანაა.

ზემოთთქმული ზოგადად არსებულ სახელმწიფო აპარატზეც ვრცელდება. ჩვენ არსებითად შევინარჩუნეთ ტოტალიტარული სახელმწიფოს აპარატის სტრუქტურა, რომლის სიძლიერის ძირითადი წყარო მისი და ჩვეულებრივი მოქალაქეების უთანასწორობაა. სახელმწიფო აპარატის ყოვლისშემძლეობის მოსპობა, ზოგადად სახელმწიფოსათვის ხელების დამოკლება, რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია. სამოქალაქო საზოგადოება ნორმალურად ვერ განვითარდება, ადამიანი ვერ გათავისუფლდება იქ, სადაც არ არის ზუსტად შემოსაზღვრული ის, თუ სად მთავრდება სახელმწიფო აპარატის უფლებამოსილება. დღეს არსებითად უხელფასო სახელმწიფო აპარატი ხშირად განიხილავს მოქალაქეს, როგორც თავის საკუთრებას და ყმას. ხვალ, რეფორმის შედეგად მოქალაქემ უნდა იგრძნოს, რომ ის კი არ ემსახურება სახელმწიფო აპარატს, არამედ სახელმწიფო აპარატია მისი ინტერესების მსახური და ამგვარად იგი სარგებელს უნდა ხედავდეს ამგვარი აპარატის შენახვაში. ეს ვერ განხორციელდება მანამ, სანამ ქვეყანაში შენარჩუნებულია კორუფციის დღევანდელი მასშტაბები. უნდა კარგად გვახსოვდეს, რომ კორუფცია და ეროვნული უთავმოყვარეობა მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული მოვლენებია. კორუმპირებული სახელმწიფო მოხელე რიგითი მოქალაქის თვალში დამოუკიდებლობის იდეის უმთავრესი დისკრედიტაციაა.

კორუფცია მყარად ფესვგამდგარ სოციალურ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. კორუმპირებული კლანების არსებობა ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ძირითად დანიშნულებას – კანონის წინაშე ყველას თანასწორობის უზრუნველყოფას. საქართველოში რეალურად ჩამოყალიბდა ნამდვილი ხელშეუხებელთა კასტა, რომლის წინაშე უძლურნი არიან სახელმწიფო ინსტიტუტები, მათზე დაუწერელი იმუნიტეტი ვრცელდება და მის წინაშე დაუცველნი არიან მოქალაქეები. კორუფცია თავისთავად სოციალური გადარჩენის ერთ-ერთი ფორმაც არის. კორუმპირებული ადამიანები არჩენენ თავიანთ ოჯახებს, ისინი თანდათან ერთიანდებიან კლანებში, მაგრამ ასეთი საზოგადოება ჩვენი ბუნებრივი განვითარების საწინააღმდეგოა. ჩვენი უდიდესი უპირატესობა ბევრ მეზობელთან სწორედ ისაა, რომ ჩვენ ბუნებით არ მოგვდგამს კლანური მენტალიტეტი. კლანებმა შეიძლება შექმნან მოჩვენებითი სტაბილურობა, რაღაც წარმონაქმნი, მაგრამ ეს წარმონაქმნი ვერასოდეს ვერ გახდება ნამდვილი სახელმწიფო, ვერ შეინარჩუნებს ტერიტორიულ მთლიანობას და განწირულია შემდგომი დაქუცმაცებისათვის. ჩვენ დავჯერდით იმას, რომ იმპერიის კორუმპირებული ჩინოვნიკი კიდევ უფრო გახარებულმა და გალაღებულმა ეროვნული დროშის ქვეშ მჯდომმა მოხელემ შეცვალა. უპასუხოდ დაგვრჩება სწორედ ის ერთი უმთავრესი კითხვა – რისთვის გვჭირდება დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო?

## სიცრუით ცხოვრებაზე უარის თქმა

საბედნიეროდ, დღეს უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ საქართველოში გაჩნდა სახელმწიფო მოღვაწეთა ჯგუფი, რომელიც შეგნებულად უარს ამბობს მიიღოს კორუმპირებული ნომენკლატურის თამაშის წესები. ეს სულაც არ ხდება იმიტომ, რომ, როგორც ამას წინათ საგაზეთო სტატიაში დაწერა ერთმა ჩემთვის საპატივცემულო ავტორმა, ამ ჯგუფს ვიღაცამ უარი უთხრა კორუფციის წილში ჩაჯდომაზე. ამ ჯგუფმა თავად თქვა ამ წილზე უარი რამდენიმე მიზეზის გამო. ჯერ ერთი, მათ არ სჯერათ ინდივიდუალური გადარჩენის, ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი ილია ჭავჭავაძის შეგონება. ილია სწერდა: „ყველამ ერთად და თვითეულმა ცალკე უნდა იცოდნენ, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელის ერისა, ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე. არაგონიერმა კაცმა რა წოდებისაც გინდ იყოს, ეს არ უნდა დაივიწყოს, თუ უნდა თავისი სიკეთე მკვიდრს საფუძველზე დაამყაროს".

მეორეც, ამ ჯგუფისათვის არსებითად მიუღებელია ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ დამკვიდრებული წესი და ტოტალიტარიზმის ძირითადი მემკვიდრეობა – სიცრუით ცხოვრება. სამწუხაროდ, ჩვენ ძირითადად ვაგრძელებთ სიცრუით ცხოვრებას. ამ სიცრუისგან თავის დაღწევის რამდენიმე ძირითადი გზა არსებობს. პირველი – განათლება, იმ იდეების ფართოდ გავრცელება, რითაც ცხოვრობს თანამედროვე მსოფლიო, თავად განათლების სისტემაში გამეფებული ცრუ სტერეოტიპების მსხვრევა. დღეს, ყველა ერთი შეხედვით უმნიშვნელო საქმეშიც კი, საჭიროა ახალი ცოდნის მიღება, ახალი ჩვევების დანერგვა. წინ უნდა წამოიწიოს განათლებული და ნიჭიერი ადამიანები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას მომადლებულად ჰყავდა, მაგრამ, როგორც წესი, თითქმის ვერ ვიყენებდით. როგორც თავის დროზე „თერგდალეულებმა", კომპლექსების დაძლევაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს უცხოეთში განათლებამიღებულმა თაობამ. სწორედ ამ თაობამ უნდა მიუღოს ბოლო ერის დაკომპლექსების ცდებს, დაარწმუნოს იგი, რომ ის არა მხოლოდ სხვაზე უარესი, არამედ ბევრად უკეთესიც შეიძლება იყოს. სრულიად განსაკუთრებულია თავისუფალი მასმედიის როლი. თავისუფალმა მასმედიამ ბოლო მოუღო მონოპოლიის ერთ-ერთი ყველაზე ამორალურ ფორმას – სიმართლეზე ორუელისეულ მონოპოლიას, ჯებირი ალუმართა სიცრუის დაუბრკოლებლად გავრცელების გზაზე და ამით შიგ გულში ჩასცა ლახვარი ამ სიცრუეს. თავისუფალი მასმედიის შენარჩუნება, ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნა ერთიანი ქართული დემოკრატიული სივრცის შექმნის უმთავრესი წინაპირობაა.

სიცრუისაგან თავის დაღწევა შეუძლებელი იქნება ისტორიულ სინამდვილესთან თვალის გასწორების გარეშე. ის, რომ დღემდე სათანადოდ არ არის შეფასებული ტოტალიტარული რეჟიმი, საუკეთესო გარანტიაა ამ რეჟიმის ფასეულობათა სისტემის ბატონობის გახანგრძლივებისა. სრული სიმართლე უნდა ითქვას უფრო გვიან მოვლენებზე, ვინაიდან ამის გარეშე წარმოუდგენელია ეროვნული დიალოგი და გათიშულობის დაძლევა.

სიცრუით ცხოვრების შედეგად შექმნილი ილუზიური სამყაროს დასამსხვრევად აუცილებელია შეიცვალოს თავად პოლიტიკური დებატების სტილი და ფორმატი. თავისი ინტელექტუალური დონით და მიმართულებით დღევანდელი პოლიტიკური დებატები უფრო ნომენკლატურული ვირთხების ურთიერთჩაძირვის და გამოდევნის თამაშს წააგავს, ვიდრე დამოუკიდებელი ქვეყნის პოლიტიკურ ძალთა დემოკრატიულ პაექრობას. ბევრწილად დავკარგეთ ის იდეალიზმი, რომელიც ამკობდა ქართულ ეროვნულ მოძრაობას. პოლიტიკოსები თამაშობენ საზოგადოების ყველაზე დაბალ ინსტიქტებზე და უფრო მეტიც, ხშირად თვითონ უწყობენ ხელს ამ ინსტინქტების განვითარებას. ძირითადად იარაღად ნებისმიერი მეთოდით მოწინააღმდეგის პიროვნული გაშავებაა ქცეული. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ახალი სახის პოლიტიკური დიალოგი, სადაც მთავარი ადგილი პოლიტიკოსის პოზიტიურ მუხტს უნდა ეთმობოდეს, მისი სიძლიერე უნდა ეფუძნებოდეს არა იმას, თუ რამდენად ცუდად გამოიყურება მისი კონკურენტი, არამედ იმას, თუ რამდენად სასარგებლო და მისაღებია მისი საქმიანობა და იდეები ქვეყნისათვის. მე ხაზს ვუსვამ ახალი იდეების გენერირების სასიცოცხლო აუცილებლობას. თუ ახალი იდეები არ წარმოიშვა, სიცარიელეს ისევ შეავსებს და უკვე ავსებს კიდეც ძველი ტოტალიტარული იდეები, რომლებიც ძირშივე მოწამლავს და მოახრჩობს ახალ სახელმწიფოს.

მესამე, და უმთავრესი, რაც პოლიტიკოსთა ახალ გუნდს (და აქვე მინდა დავადასტურო, რომ მე გუნდს პარტიული ფარგლებით არ შემოვზღუდავ) განასხვავებს, არის ის, რომ მათ სჯერათ საქართველოს მომავლის და მოიაზრებენ თავიანთ თავს ამ მომავალში. მათ სჯერათ, რომ საქართველო, როგორც თავისუფალი ადამიანებით დასახლებული თავისუფალი და ერთიანი ქვეყანა აღადგენს ისტორიულ სამართლიანობას, მოიპოვებს თავის დამსახურებულ ადგილს დღევანდელ მსოფლიოში. ეს არის ის აზრები, რომელთა გაზიარება მე დღეს თქვენთვის მსურდა, დანარჩენს ალბათ 1998 წლის ადამიანი გეტყვით. მე დარწმუნებული ვარ, რომ მას ბევრად მეტი ექნება სათქმელიც და საამაყოც, და თუ ეს ასე იქნება, მეც სიამოვნებით დავიკავებ მაყურებლის ადგილს ამ დარბაზში.

---

ინფორმაცია

### ნიკა თავაძის გათავისუფლება გამოსასყიდის გადახდის გარეშე მოხერხდა

„იფრინდა"-ს კორესპონდენტის ცნობით, საქართველოს პარლამენტის კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის ჯგუფისა და ჩეჩენი პარლამენტარების მიერ გაწეული ერთობლივი მუშაობის შედეგად, თბილისს დაუბრუნდა საქართველოს მოქალაქე ნიკა თავაძე, რომელიც 1996 წელს გაიტაცეს ნაზრანის ბაზრიდან და ჩეჩნეთში წაიყვანეს. გამტაცებლები მისგან 25 ათასი $-ის გამოსასყიდს მოითხოვდნენ.

საქართველოში ნიკა თავაძე ჩამოიყვანა ჩეჩნეთის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწემ ადამბეკ აბუსალიევმა.

საქართველოსა და ჩეჩნეთის პარლამენტართა ერთობლივი ქმედების მეშვეობით ნ.თავაძის გათავისუფლება გამოსასყიდი თანხის გადახდის გარეშე მოხერხდა. (იფრინდა)

### „წინასწარ ბრალდების წაყენების უფლება არა გვაქვს"

„შეიძლება ბეგი თავართქილაძე სუსტი ელჩი გამოდგა, მაგრამ რაც შეეხება მის კავშირს კრიმინალებთან – ვიდრე საბოლოო დასკვნებს არ მივიღებ, არ შემიძლია მას წინასწარ წავუყენო ბრალდება" – განაცხადა ე.შევარდნაძემ.

იტალიაში საქართველოს ელჩის კანდიდატურები შესწავლის სტადიაშია, ბ.თავართქილაძე კი საქართველოში დაბრუნდება. (იფრინდა)

### ყველამ თავის პრობლემას მიხედოს

20 იანვარს ჯანდაცვის სამინისტროში გაიმართა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს, ნარკომანიის გავრცელების, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის სხდომა. სხდომაზე შს სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს გასული წლის ანგარიში მოისმინეს. სხდომაზე ნარკომანიისა და ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, გელა ლეჟავამ განაცხადა, რომ ჯანდაცვის სამინისტრომ გასულ წელს ნარკომანიის წინაღმდეგ საბრძოლველად 500 ათასი ლარი გამოყო, რომელიც მთლიანად ორგანიზაციულ საკითხებს მოხმარდა. აღინიშნა, რომ პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის მხოლოდ საქართველოა ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც ნარკომანიის წინააღმდეგ მკაცრი ბრძოლაა გამოცხადებული. მისივე თქმით, ეს ძირითადად ამ ორი სამინისტროს დამსახურებაა და არ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება მხოლოდ ორი სამინისტროს ხარჯზე მოხდეს. სხდომაზე შედარებისათვის ლეჟავამ მოიყვანა უკრაინის მაგალითი, სადაც შიდსი და ნარკომანია გეომეტრიული პროგრესიით იზრდება და არ იციან ამ პრობლემას რით უშველონ. მისი განცხადებით რუსეთის საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ოფიციალურად ამ ქვეყანაში 500 ათასი ნარკომანია. მიჩნეულია, რომ ნარკომანთა ზუსტი რაოდენობის დასადგენად ოფიციალური ციფრი 10-ზე უნდა გამრავლდეს. ე.ი. ლეჟავას განცხადებით, ამჟამად რუსეთში 5 მლნ ნარკომანია და მომავალში ამ ქვეყანაში ოფიციალურად აღიარებული ციფრის გაოთხმაგებას მოელიან, რადგან ნარკობიზნესში ჩადებული თანხა ყველა ბიზნესზე მომგებიანია. მისი თქმით, 1 დოლარი წელიწადში 1224 დოლარს იძლევა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სხდომაზე ლეჟავას სიტყვაც არ დასცდენია საქართველოში ნარკომანთა რაოდენობის შესახებ და არც იმაზე, თუ როდის მოხდება ჩვენში მათი რაოდენობის დადგენა.

შსს-ს წარმომადგენლის, დავით კაჭკაჭიშვილის თქმით, საქართველოში 1 წლის მანძილზე 1224 სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. განადგურდა 100 ათასი ძირი ყაყაჩო და 205 ათასი ძირი კანაფი. გარდა ამისა, ამოიღეს 15 კგ მარიხუანა, 1 კგ ჰეროინი და 8 კგ ოპიუმი. მისი თქმით, იზრდება საქართველოს გავლით ნარკოტიკების ტრანზიტის მიზნით, საერთაშორისო ნარკომაფიის დაინტერესება და როგორც საერთაშორისო ორგანიზაციები ვარაუდობენ, ჩვენი ქვეყანა შეიძლება სატრანსპორტო დერეფნად გადაიქცეს. (გეა)

# ვინ მისტირის კომუნისტების რეჟიმს?!

ლევან მალაზონია

**მეცხრე გვერდიდან**

სასწაული მოხდა და ჩაიგდებს ტახტს, მას შოვინისტური გარემო ისე მოაქცევს და მოარჯულებს, რომ საკუთარ თავსაც ვეღარ იცნობს. საერთოდ, შეუთავსებელია ცნებები: „რუსეთი“ და „დემოკრატია“, „რუსეთი“ და „თავისუფლება“, „რუსეთი“ და „სოციალიზმი“. ეს ცნებები ურთიერთს გამორიცხავენ. ნამდვილი რუსეთი მონარქიული რუსეთია (დღეს ტყუილუბრალოდ რომ ექაქლუცება მსოფლიოს, ვითომდა თავისი დემოკრატიით, სინამდვილეში კი დღესაც, ისევე, როგორც ადრე ქვეყანას პირწავარდნილი შოვინისტები მართავენ, მართავს სისხლისმსმელი „ვოენშჩინა“, რაც მთავარია, თვით რუსი ხალხის ბუნება ითხოვს, რომ მას ჰყავდეს მონარქი და არა მოლაყბე პრეზიდენტი. გავიხსენოთ ისიც, რომ ყველა დიდი რუსი მწერალი მონარქისტი იყო და რაც მთავარია, ათასგზის შოვინისტური იყო კომუნისტური რუსეთი მეფისდროინდელთან შედარებით! ათასგზის!

როგორც ბუნება არ შეიცვლის თავის ზნეს და ხასიათს, ასევე არ შეიცვლება შოვინისტი რუსი. რაც იყო, ისაა დღეს და რაც დღესაა, ის იქნება ხვალაც!

თუ ასეა, ერთხელ და სამუდამოდ ხელი უნდა ავიღოთ რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოფნაზე და ევროპისკენ მიმავალ გზას დავადგეთ!

ჩვენი სიგლახის წყალობით შოვინისტ რუსებს ახლაც სჯერათ, რომ საქართველო რუსეთის გარეშე ვერ იარსებებს! ეს აქვთ ჩაკირული ტვინში და ამას ამბობს ის ორფეხა პირუტყვები, რომელთა ქვეყანა ზღაპრულად მდიდარია და ხალხი კი მათხოვარივით ცხოვრობს.

დღესაც შოვინისტური რუსეთია (ვითომდა დემოკრატიული) ჩვენი დაუძინებელი მტერი, იგია ყოველგვარი უბედურების მომტანი აფხაზეთსა თუ სამაჩაბლოში, იგია ქვეყანა, რომელმაც ვერა და ვერ შეიგნო, რომ კოლონიალიზმის დრო სამუდამოდ დამთავრდა, ჩაბარდა ისტორიას.

რა გზას დაადგა დღეს საქართველო?

იმ გზას, რომელზედაც მოაბიჯებდნენ საუკუნეების განმავლობაში ჩვენი წინაპრები!

იმ გზას, რომელზედაც მთელი დედამიწის ხალხები ადამ და ევადან დაწყებული დღემდე დაიარება! ანუ, იმ გზას, რომელსაც კერძო საკუთრება ჰქვია.

კომუნისტებმა კი დინების საწინააღმდეგო მიმართულებით მოინდომეს სიარული. რა თქმა უნდა, ეს, რბილად რომ ვთქვათ, ბრიყვული უტოპია იყო და ამ „იდეას“ დასამარება ელოდა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამაოდ დაიკარგა თითქმის მთელი XX საუკუნე! ფუჭი აღმოჩნდა კომუნისტების უსასრულო ტატყანი, სხდომები, სესიები, კონფერენციები, ყრილობები, ტრილიონობით გამოცემული საგიტაციო ჟურნალები, გაზეთები, წიგნები, ბროშურები... და რაც ყოველ წამს უნდა ახსოვდეს სინდისის ნატამალის მქონე თითოეულ ადამიანს: ათეული მილიონობით ალალ-მართალი ხალხის მოსპობის შემდეგ ისევ იმ ბუნებრივ გზას (კერძო საკუთრების გზას) დაადგა ყველა ყოფილი კომუნისტური კოლონიური ქვეყანა. დოვლათის შესაქმნელად კერძო საკუთრებაზე უფრო უკეთესს ადამიანი ვერაფერს გამოიგონებს, რადგან უცვლელია მისი ბუნება, მისი ფსიქიკა. ძველი პარტიულები კი დღესაც გულწრფელად ამბობენ – კი, შეცდომებს ვუშვებდითო! ჯერ ერთი, როგორც ბაღლინჯოს არაფერს ეკითხებოდნენ, ასევე „პარტიის“ რიგით წევრებსაც და რაც განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა ითქვას, შეიძლება „შეცდომები“ უწოდო დაახლოებით 92 მილიონი ადამიანის ამოჟლეტას?!.

* * *

მოვესწარით უდიდეს სასწაულს, დაუჯერებელს, ზღაპრულს, ისეთს, ნათელმხილველიც რომ ვერ იწინასწარმეტყველებდა სულ რაღაც ათიოდე წლის წინათ – საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, მოვესწარით ჯერ კიდევ აუხსნელ საოცრებას და ჩვენ, მიუხედავად დღევანდელი სიღატაკისა და უბედურებისა, იმ რეჟიმის აღდგენას უნდა ვნატრობდეთ?

ოღონდაც არ მოგვეშვიდეს და ტირანიის აღდგენაზე ვოცნებობთ?

დამოუკიდებლობის რაღა ღირსნი ვართ მაშინ?

იმ რეჟიმთან შეგუება ნიშნავდა ჩვენს ამოგდებას, გადაშენებას, რუსი შოვინისტების უღელქვეშ ყოფნას.

ცხოველსაც კი გალიაში მაძღრად ყოფნას მშიერი მუცლით თავისუფლად წანწალი ურჩევნია.

კომუნისტური რეჟიმი შოვინისტურ რუსეთთანაა გადაჯაჭვული! ურთმანეთოდ ვერცერთი იარსებებს!

სასწაული რომ მოხდეს, საბჭოური სისტემა აღდგეს და მარქსისტებმა ძალაუფლება დაიბრუნონ, იმავე დღესვე ხოცვა-ჟლეტა დაიწყება! საზარელი, წარმოუდგენელი ხოცვა-ჟლეტა! ეს აწერიათ მათ სახეზე, ეს იგრძნობა მათ ტონშიც! ნაცვლად იმისა, რომ აღიარონ ცოდვები, მიაფურთხონ ბნელ, ბინძურ და დანაშაულებრივ დოგმებს, გულში კომუნისტური რეჟიმის მაგინებელი ადამიანების ამოწყვეტას ნატრობენ და ამას ბევრი მათგანი გაწიწმატებისას არც მალავს, წამოაყრანტალებს ხოლმე!

ნუთუ არარსად იყო ნათელი მთელი 70 წლის განმავლობაში!

რა თქმა უნდა, იყო!

ოღონდ, ის ნათელი სულ ოდნავ ბჟუტავდა და მას მაინც უდიდესი ძალა ჰქონდა!

ეს იყო თითზე ჩამოსათვლელი მაღალი, ძლიერი სულის მქონე პიროვნებები (ყველას ხომ ვერ ამოწყვეტდნენ კომუნისტები), რომელთა დანახვაზედაც რწმენა და იმედი უბრუნდებოდა შიშისგან დაჩიავებულ ხალხს და აგონდებოდა, რომ ამქვეყნად არსებობს ღიმილი, იუმორი, სილამაზე, მეგობრობა, ურთიერთგატანა, სიყვარული... (თვალწინ მიდგას ერთი ახლო ნათესავი, რომელიც ბავშვებს სისტემატიურად საიდუმლოდ გვიკითხავდა ადგილებს „ქართლის ცხოვრებიდან“ დავით აღმაშენებელზე, გიორგი ბრწყინვალეზე, ალექსანდრე დიდზე, – იმ ალექსანდრეზე, ქართველებს რატომღაც მივიწყებული რომ ჰყავთ, – რაც მაშინ გმირობის ტოლფასი იყო).

მიქელანჯელოს ერთი ასეთი შინაარსის ლექსი აქვს: მთელ სამყაროში გამეფებულია წყვდიადი, ლუსკუმა ღამე და ირგვლივ ყველაფერზე სიბნელე ბატონობს, მაგრამ უცებ, გამონათებს ერთი ციცქნა მწერი, ციცინათელა და უკუნეთის აბსოლუტურ მბრძანებლობას ბოლო ელება! იგი ვეღარ ბატონობს მთელ სამყაროზე!

აი, რა ძალა აქვს სულ მცირე ნათელს, ანუ – სიკეთეს!

ასეთი ციცინათელები იყვნენ ძლიერი სულის მქონე ის პიროვნებები, რომელთა წყალობით გამოაღწია უკუნეთიდან ყველა ხალხმა...

ფრანგებს ასეთი ანდაზა აქვთ: ყველაფერს მოესწრება თავის დროზე ის, ვისაც ლოდინის უნარი აქვს.

ჩვენ გადავრჩებით და დღევანდელი ჯოჯოხეთიდანაც გამოვალთ!

დღემდე მოსულ უძველეს ერს ვერც შინაური ნაძირალები მოსპობენ და ვერც გარეშე...

მაგრამ ბოლოს და ბოლოს როდისღა დაიმკვიდრებს საქართველო რეალურ დამოუკიდებლობას?

იმ წელს, იმ თვეს, იმ რიცხვსა და იმ საათზე, როდესაც ჩვენს ამერსა თუ იმერში, მთასა და ბარში, ყველგან, მთელ ქვეყანაში ერთი ადამიანიც აღარ ინატრებს, ერთადერთიც კი, ტირანული, ინკვიზიტორული, სისხლიანი კომუნისტური რეჟიმის აღდგენას და შოვინისტური რუსეთის დიქტატის ქვეშ ცხოვრებას.

# არმაგედონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს სიტყვა დღევანდელი კაცობრიობის გარდამავალი ეტაპის უმძიმესი მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვაა და ბიბლიურ გაფრთხილებას წარმოადგენს. იცოდნენ წმინდა ადამიანებმა კაცობრიობის ამ განსაცდელის შესახებ. ინდურ „პურანებში“ ნათქვამია, რომ კალი-იუგას ბოლოს, მერწყულის ეპოქის დასაწყისში ადამიანები შეიშლებიან, მაგრამ ისინი ვერ და არ აღიარებენ საკუთარ შეშლილობას, სხვაგვარად როგორ აიხსნება ის, რომ მთელ მსოფლიოს მოედო სატანიზმი. სატანიზმი იდეოლოგიად გადაიქცა, ამიტომაც მისი მკურნალობა შეუძლებელია. ავადმყოფის მკურნალობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ეწინააღმდეგება, რამეთუ ყველაზე ძლიერი წამალიც კი პირუკუ იმოქმედებს, როდესაც პაციენტი მის ბუნებრივ ზემოქმედებას ეურჩება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, განა აღიარებს სატანისტი, რომ უთხრა შეშლილი ხარო? რა თქმა უნდა, არა. ამიტომაა, რომ დღევანდელობა – არმაგედონია. შეშლილია ხალხები და არ აღიარებენ ამას, რითაც მძიმდება საქმის გამოსწორების ყოველგვარი მცდელობა. ამ შავბნელ დროში, რომელსაც ვერც 37 წელი და ვერც ვერანაირი დრო ვერ შეედრება, იღუპება უამრავი დაუცველი ახალგაზრდა. ამ წერილის დაწერა განაპირობა „მეგაპოლის-ექსპრესის“ №4 სტატიამ – „მოსკოვს სატანა მბრძანებლობს“. წაიკითხეთ იგი და თმები ყალყზე დაგიდგებათ. 43000 ადამიანი დაიღუპა მოწამლული ალკოჰოლით რუსეთში, რამდენი სიგიჟით, ნარკომანიით, პროსტიტუციით. იღუპებიან ადამიანები ათასობით და ათეულ ათასობით, ჩვენ კი ჩაგვძახიან, რომ სტალინის რეჟიმმა ამდენი და ამდენი იმსხვერპლაო!

დღეს მთელი ქვეყანა იღუპება!

დღეს მართლდება რკინის ფარდის აუცილებლობა. დღეს ბევრი რამ მართლდება!

ადამიანები მომავლის გარეშე.

ახალგაზრდები იდეოლოგიის გარეშე...

მოხუცები დაცვის გარეშე...

ცნობიერების ამგვარი დაბინდვა ნაწინასწარმეტყველებია არმაგედონის დროისთვის. კაცობრიობა მკაცრად არის გაფრთხილებული იმის თაობაზე, რომ თუ სიგიჟე ზღვარს გადასცილდა, ერთადერთი საშუალება იქნება ცეცხლოვანი კატაკლიზმით განწმენდა დედამიწისა. თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, შეგახსენებთ დაღუპულ ლემერიასა და ატლანტიდის კონტინენტს მსგავს დანაშაულებათა გამო. ეს საჭირო შეხსენება და გაფრთხილებაა იმათთვის, ვინც ჯერ არ ჩაფლულა ღრმად სოდომ-გომორისეულ ცოდვაში. იქნებ მოეგონ გონს. იმის დაჯერება, რომ კაცობრიობა შმაგია და შეშლილია, ერთობ ძნელია, რადგან გარეგნულად სიმშვიდე სუფევს. ნუთუ მაინც და მაინც ომია საჭირო, საფრთხე რომ დავინახოთ? ორი კაცობრიობის სამარცხვინო მოვლენაა, მაგრამ ზოგჯერ არსებობს ომზე უარესი მდგომარეობა და ეს მდგომარეობა სიგიჟე და ცნობიერების გახრწნილებაა, ცნობიერებისა, რომელიც უკვე „სექსის ტერმინატორს“ ან სატანისტების სიბილწეს, – საკუთარ დასთან თუ დედასთან სქესობრივ კავშირს ეგუება. ვიმეორებთ, ეს ნებისმიერ ომზე საშიში მოვლენაა.

ომს აქვს დადებითი მხარე, იგი ბადებს ადამიანობასა, რაინდობას, კაცთმოყვარეობას, სისხლითა და კაცისკვლით გადაღლილ ადამიანებში იღვიძებს მშვიდობისაკენ ლტოლვა. ე.ი. ომიც კი, ეს სამარცხვინო მოვლენა, შეიცავს სიკეთეს, რასაც ვერ ვიტყვით კაცობრიობის დღევანდელ მდგომარეობაზე, მის დაბინდულ ცნობიერებაზე. ამ დროს ზნედაცემულობას საზღვარი არ აქვს. ომზე უარესი მდგომარეობა ეს არის კაცობრიობის ცნობიერების ლპობის ხანა.

როგორც ხედავთ, არმაგედონი არ ყოფილა მხოლოდ ფიზიკური ომი – ტანკების გრუხუნი, ატომბირთვული აფეთქებები. მოქმედებს გაცილებით საშინელი იარაღი – ცნობიერების მომწამვლელი იდეოლოგია.

არმაგედონი სავსეა აურაცხელი საფრთხით და მასთან შედარებით კიბოსა და სხვა მძიმე სნეულებების ეპიდემიები არაფერია. მთავარი დამღუპველი მოვლენა გონების სიმახინჯეა, რომელმაც დაკარგა სილამაზის წარმოდგენა და სიმახინჯეს სცა თაყვანი. ხრწნა თავით ადამიანისაგან მოდინება. ჩვენ სიფრთხილისკენ მოგიწოდებთ თუნდაც მხოლოდ იმისთვის, რომ ხორციელად გადაურჩეთ ცეცხლოვანი კატაკლიზმით დაღუპვას.

გვეტყვიან, რომ წარსულშიც იყო ამგვარი მდგომარეობა, კი ბატონო, იყო და მოხდა სოდომისა და გომორის ცეცხლოვანი გოგირდით დაღუპვაც. მაგრამ წარსულის სურათები ვერ შეედრება მსოფლიო შეშლილობის დღევანდელ მასშტაბებს. მაშინ ათასები იყვნენ დაცემულნი, ახლა კი მილიონებია დაცემული. იოლი დასანახია ემანაციების ძალთა განსხვავება ჩვენდა საუბედუროდ.

ეჰ, ძალზედ ძვირად უჯდება კაცობრიობას ბიბლიური ცნებების უარყოფა და არმიღება.

თამაზ თავაძე

# ოთარ ჩხეიძის პიესის პრემიერა

19 იანვარს ქვემო ქართლის სოფელ განთიადში დმანისის თეატრმა აღდგენიდან სამი წლის იუბილე იზეიმა. განთიადის კულტურის სახლში ოთარ ჩხეიძის პიესის „ვისია ვისი?“ სპექტაკლის პრემიერა გაიმართა.

დმანისის თეატრი 1990 წელს დაარსდა, რომელმაც 1992 წელს საქართველოში არსებული რთული ვითარების გამო შეწყვიტა მუშაობა. და აი, უკვე სამი წელია, რაც განახლდა და კვლავ აქტიურ ცხოვრებას ეწევა. თეატრის დამაარსებელნი – გოგი გეგეჭკორი, კარლო საკანდელიძე, ზინაიდა კვერენჩხილაძე, ედიშერ მაღალაშვილი ამ თეატრის მსახიობები არიან. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სპექტაკლში მონაწილეობდა ორი დმანისელი ახალგაზრდა, რომლებიც თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები არიან – ლევან პირველი და მირანდა მიჩიანი. ისინი ცნობილი მსახიობების: კარლო საკანდელიძის, ლამზირა ჩხეიძის და სხვათა გვერდით გამოვიდნენ სცენაზე. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორები არიან: ჯემალ მელქაძე და კარლო საკანდელიძე, სამხატვრო ხელმძღვანელი – ზინაიდა კვერენჩხილაძე.

ქვემო ქართლის ისეთ კულტურულ კერას, როგორიც დმანისის თეატრია, გვერდში უდგას და ყურადღებას არ აკლებს პრეზიდენტის რწმუნებული ამ რეგიონში, ლევან მამალაძე. სწორედ მას მიუძღვის დიდი წვლილი დმანისის თეატრის მუშაობაში. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ლევან მამალაძემ აღნიშნა: „დიდი ბედნიერებაა ასეთი თეატრის არსებობა ამ რეგიონში. იმედი მაქვს, რომ დმანისის რაიონში და საერთოდ ქვემო ქართლში განათლებული ახალგაზრდობა აღიზრდება. ქვემო ქართლის გუბერნატორმა, ლევან მამალაძემ დმანისის თეატრს საჩუქრები გადასცა და იმედი გამოთქვა, რომ მომავალი წლის 19 იანვარს დმანისის თეატრი ოთხი წლის იუბილეს ახალი თეატრის შენობაში იზეიმებს. (გეა)


**● განცხადებები**

*ქირავდება 2 ოთახიანი სუფთა ბინა მეტრო „გოცირიძესთან“. ტელ. 39-87-73; 38-47-23*

*იყიდება კერძო სახლის II სართული ხუთი ოთახით, ავტოფარეხით და მარანით, მეტრო „ნაძალადევთან“, სააკაძის ქუჩაზე. ფასი შეთანხმებით. ტელ. 33-73-96 მერი*

შ.პ.ს. „მეკო“-ს (რეგ. №5ა/4-338) ლიკვიდაციასთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ მიმართონ სალიკვიდაციო კომისიას მისამართზე: კრილოვის ქ. №3, ტელ. 95-44-57


# ჰერმან ვედეკინდის გარდაცვალებასთან დაკავშირებით

ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ხელოვანის, საქართველოს საპატიო მოქალაქის ჰერმან ვედეკინდის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ სამძიმრის ბარათი გაუგზავნა ჰ. ვედეკინდის ოჯახს.

„საქართველოს დიდი მეგობრის ამ ქვეყნიდან წასვლამ ბევრს დასწყვიტა გული საქართველოში“ – ნათქვამია ბარათში.

„საქართველოს პრეზიდენტი მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს პირველი საპატიო მოქალაქის ჰ. ვედეკინდის გარდაცვალების გამო. იგი იყო პიროვნება, რომელიც უანგაროდ და თავდავიწყებით რეჟისორობდა ქართულ-გერმანული მეგობრული ურთიერთობების განვითარებას. ეს დიდი დანაკლისია არა მარტო გერმანიისათვის, არამედ საქართველოსათვისაც. მისი ჭირისუფლები ჩვენც ვართ“ – ნათქვამია ე. შევარდნაძის სამძიმრის ბარათში, რომელიც მან საარლანდის მხარის პრემიერ-მინისტრს ოსკარ ლაფონტენს გაუგზავნა. (იფრინდა)


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444